



სასოფლო-საკონსულტაციო
სამსახური

საქართველოში
გავრცელებული პოსტონული
კულტურაების ცარმოება და
მთასწლეობა



ნინასიტყვაობა

კრებულის მიზანია, მკითხველს გააცნოს ბოსტნეული კულტურების ხარისხიანი თესლის მიღების შესაძლებლობები, სპეციალისტების გამოცდილებებსა და მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაყრდნობით. იგი დახმარებას გაუწევს ფერმერებს, მებოსტნეობითა და ბოსტნეულის მეთესლეობით დაინტერესებულ პირებს, ამ დარგის სპეციალისტებს.

ბროშურაში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის წამყვანი მეცნიერ-მუშაკების პროფესორ ნოე ხოზრევანიძის, დოცენტების ლერი ნოზაძისა

და კობა კობალაძის ნაშრომი. მასში, მოწინავე ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით და საქართველოში აპრობირებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ფართოდ არის გაანალიზებული საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ბოსტნეული კულტურების მეთესლეობის საკითხები.



კავკასიის მთიანი რეგიონების
განვითარების საერთაშორისო
ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 5

თავი I

- ბოსტნეულის მეთესლეობის აგროტექნიკის ზოგადი ღონისძიებები 7

თავი II

- ერთნაირი ბოსტნეული კულტურების მეთესლეობის აგროტექნიკა 16
- პომიდორი 16
- წიწაკა 20
- კიტრი 22
- პარკოსნები (ლობიო, ცერცვი, ბარდა) 27
- ცერცვი 29
- ქინძი 30

თავი III

- ორნაირი ბოსტნეულის მეთესლეობის აგროტექნიკა 31
- კომბოსტო 31
- ძირხვენები 34
- ხახვი 39
- ნიორი 42

თავი IV

- დელიკატესი ბოსტნეული	44
- სალათები	44
- ბროკოლი ანუ სატაცურისებრი კომპოსტო	46
- ყვავილოვანი კომპოსტო	46

დანართები

- დანართი 1

ბოსტნეული კულტურების თესვა-რგვის და მოსავლის აღების ვადები

49

- დანართი 2

ბოსტნეული კულტურების თესვა-რგვის და მოსავლის აღების ვადები

51

შესავალი

საქართველოში ამჟამად 70-ზე მეტი სახეობის ბოსტნეული მოჰყავთ. ერთ სულზე მათი მოხმარების საშუალო წლიური ნორმა 120-180 კგ-ია. მათ შორის კომბოსტო (ყველანაირი) 35-55 კგ, პომიდორი 25-32 კგ, ბადრიჯანი და ნინჯა 3-5 კგ, ბოსტნის ბარდა და ნედლი ლობიო 7-10 კგ, ხახვი და ნიორი 6-10 კგ, ამ-დენივე სტაფილო, კიტრი 10-13 კგ, სუფრის ჭარხალი 6-10 კგ, მწვანილი 5-9 კგ და სხვა დანარჩენი ბოსტნეული 15-21 კგ.

ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ კულტურების ჯიშიანი და კონდიციური თესლების თევ-ვაზე. ჯიშიანი თესლი მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

ბოსტნეულის მეთესლეობის ძირითადი ამოცანაა - ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული, მაღალხარისხიანი და დიდმოსავლიანი სელექციური და ადგილობრივი ჯიშების კარგი თესვითი ლირებულების მქონე თესლების დამზადება, ფერმერულ

მეურნეობებში საშუალო საპექტრო მოსავლიანობის გაზრდა და მისი ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება, რაც პროდუქციის სიუხვეს და ფერმერთა შემოსავლების ზრდას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ადგილობრივ ნიადა-გურ-კლიმატურ პირობებში შეგუებული ბოსტნეულის თესლის წარმოების განვითარება. აუცილებელია მაღალხარისხოვანი და დიდმოსავლიანი სელექციური და ადგილობრივი ჯიშების თესლის შემოტანა და ადგილზე გამრავლება. თესლის წარმოება ფერმერულ მეურნეობებში სათანადო ცოდნას და მეთესლეობის კანონების წესების დაცვას მოითხოვს.

მეთესლეობის წარმოებისას, აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სათესლე მცენარეებს შორის საიზოლაციო მანძილების დაცვას. მეთესლეობაში ერთი სახეობის ორი ჯიშის ერთად თესვა დაუშვებელია, რადგან მათი ერთმანეთთან ბუნებრივი შეჯვარებისას ხდება ჯიშური (ბიოლოგიური) დასარევლიანება, რის გამოც, საუკეთესო სამეურნეო თვისებების მქონე ჯიშები განიცდიან გადაგვარებას.

პოსტნეულის მათესლეობა

ბოსტნეული მცენარეები განაყოფიერების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად:

I. თვითმტვერია მცენარეები: ბარდა, ლობიო, წიწაკა, ბადრიჯანი, სალათა, პომიდორი და სხვა.

II. ჯვარედინდამამტვერიანები: კომბოსტო, სტაფილო, ბოლოკი, ჭარხალი, ხახვი, ისპანახი, სატაცური, კამა, კიტრი, ნესვი, საზამთრო, გოგრა და სხვა.

როგორც წესი, მეთესლე ფერმერებმა უნდა დათე-სონ ბოსტნეულის ერთი სახეობის თითო ჯიში, მა-გრამ თუ აუცილებელია ორი ან მეტი ჯიშის თესვა, მაშინ საჭიროა სივრცობრივი იზოლაციის დაცვა.

ინსტრუქციის მიხედვით, გოგროვან მცენარეებს შორის (კიტრი, საზამთრო და სხვ.) სივრცითი იზო-ლაცია ღია გრუნტში უნდა იყოს 1000 მეტრი, ხოლო დაცულ გრუნტში (სათბურები) – 500 მ; პომიდორს, ბადრიჯანსა და წიწაკებს შორის საიზოლაციო მან-ძილი ღია გრუნტში 100 მეტრი და დაცულში - 50მ უნდა იყოს. სხვადასხვა ჯიშის კომბოსტოების, თალ-გამის, ბოლოკის, სტაფილოს, ჭარხლის საიზოლაციო

მანძილია ღია გრუნტში 2000 მ, დაცულში - 600 მ.

ბოსტნეული მცენარეების სათესლეების ტექნი-კური სიმწიფის პერიოდში, უნდა ჩატარდეს მათი შემოწმება (აპრობაცია) კვალიფიციური სპეციალი-სტების მიერ. ტექნიკური სიმწიფე კომბოსტოსთვის ნიშნავს თავების ჩამოყალიბების დასრულებას, ხახ-ვისათვის – ბოლქვის გარე ფარფლებისა და ყელის გახმობის დასაწყისია, პომიდორისთვის – მასობრივ სიმწიფეში შესვლა, ლობიოსთვის – ქვევითა პარკებ-ში მარცვლების შემოსვლის დასაწყისი, კიტრისთვის – მწვანე კიტრების ზრდის დასრულება და ერთეული სათესლეების მომწიფების დაწყება.

მეთესლეობის ნაკვეთებში მცენარეთა განვითა-რების ფაზებში, აპრობაციამდე და აპრობაციის შემ-დეგ აუცილებელია ჩატარდეს ჯიშობრივი წმენდა-გამორჩევა. ჯიშობრივი წმენდის დროს ნაკვეთიდან მოცილდება (ამოითხრება) გადახრის მქონე და დაა-ვადებული მცენარეები.

პოსტცენულის მათესლეობის აგროტექნიკის ზოგადი ღონისძიებები

ნაკვეთის აღგილის შერჩევა

ბოსტნეულის მეთესლეობა უნდა ვანარმოოთ მებოსტნეობის თესლბრუნვის მინდოოზე. თუ ამაში ნაკვეთების სიმცირე გვიშლის ხელს, მაშინ შევარჩიოთ ცალკე ნაკვეთი და მოვაწყოთ კულტურათა მკაფიო მორიგეობა ისე, რომ ერთი და იგივე კულტურა თავის ადგილს მაქსიმუმ 2-3 წელიწადში ერთხელ დაუბრუნდეს. ეს ღონისძიება მავნებელდაავადებათა თავიდან აცილების მიზნით ტარდება და სამუალებას გვაძლევს მივიღოთ სტაბილური და ეკოლოგიურად სუფთა მოსავალი.

მეთესლეობის, და საერთოდ, ბოსტნეულის ნარმოებისათვის უნდა შეირჩეს სტრუქტურიანი, ნაყოფიერი, ორგანული ნივთიერებებით მდიდარი, სარეველებისაგან სუფთა, ქარისაგან დაცული სარწყავი მიწის ფართობები.

ნიაზაგის დამუშავება.

ბოსტნეული კულტურები მოითხოვენ ნიადაგის გულმოდგინე დამუშავებას. სამუშაოები შემოდგომიდან იწყება და თესვამდე გრძელდება. ხორბლის, ქერის, ხახვის, ნივრის, ბალახების და სხვა მოსავლის აღების შემდგომ, ნაკვეთი უნდა გასუფთავდეს ნინამორბედი კულტურების ნარჩენებისა და სარეველებისაგან. არახელსაყრელი ამინდების დადგომამდე, ნიადაგში უნდა შევიტანოთ ფოსფორიანი და კალიუმიანი მინერალური სასუქები იმისდა მიხედვით, თუ რომელი ბოსტნეულის დათესვას ვაპირებთ; ან მოვაბნიოთ გადამწვარი (მსხვილფეხა პირუტყვის) ნაკელი ჰექტარზე 50-60 ტ-ს რაოდენობით. ნაკელი თანაბრად უნდა განაწილდეს მთელ ფართობზე, შემდეგ კი ჩატარდეს მზრალად ხვნა 26-28 სმ. სილრმეზე.

გაზიაფხულის დადგომამდე (თებერვლის ბოლოდან აპრილამდე) ნაკვეთი რჩება ხელუხლებელი. ნიადაგში ტენის შენარჩუნებისა და სარეველების მოსპობის მიზნით, მზრალზე უნდა დავფარცხოთ. თესვა-რგვის დაწყებამდე, რამდენიმე დღით ადრე, კი შევიტანოთ აზოტიანი სასუქი (ნაკელით განოყიერების შემთხვევა-

ში გათვალისწინებული დოზის 50-60%) და ჩავატაროთ კულტივაცია. ამის შემდეგ ნაკვეთი მზადაა ნებისმიერი კულტურის დასათესად ან დასარგავად.

ნიადაგი, რომელიც შემოდგომაზე მზრალად არ მოიხნა, უნდა მოიხნას ზამთარში (ყინვების დასაწყისში), ან ადრე გაზაფხულზე, რათა დღოულად მოხდეს მისი დაჯდომა-გაფხვიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თესვა-რევისათვის მოსამზადებლი სამუშაოები უფრო დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

დაცული გრუნტის მოცულება და ჩითილეპის გამოყვანა.



ზოგიერთი ბოსტნეული მცენარის ჩითილები (კომბოსტო, პომიდორი, ნიწაკა და სხვ.) გამოჰყავთ ღია კვლებში, ყუთებში, ტორფ-ნეშომპალიან ქოთნებში და სხვ. ჩვენს პირობებში, ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფია კვალსათბურების მოწყობა ღია კვლებზე რკალების საშუალებით, პოლიეთილენის ფირის გადაფარებით. ასეთ კვალსათბურებში სრულიად წარმატებით შეიძლება პომიდვრის, წიწაკის და კომბოსტოს ჩითილის გამოყვანა.



საჩითილე კვლებისათვის უნდა შეირჩეს მყუდრო, ქარისაგან დაცული, სამხრეთისკენ ოდნავ დაქანებული ვაკე ადგილი. ნიადაგი უნდა იყოს მშრალი და კარგი წყალგამტარი, ხოლო ნაკვეთი - სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი.

მებოსტნეობაში პოლიმერულ ფირებს და სასათბურე ბადეებს ძირითადად სათბურების და კვალსათბურების საყრდენებზე გადასაფარებლად იყენებენ.



სათბურებისთვის იყენებენ 150-200, ხოლო კვალსათბურებისა თვის 80-100 მიკრონის სისქის გამჭვირვალე ფირს.
კვალსათბური

შედგება რკალის, ფირის, სამაგრისა და პალოსაგან. რკალი მზადდება 4-6 მმ კვეთის მავთულისაგან. ქარიან ადგილებში უმჯობესია 60 სმ სიგანის კვალსათბურის მოწყობა, ხოლო სხვა შემთხვევებში - 90 სმ სიგანის. პირველ შემთხვევაში რკალს სიგრძე უნდა იყოს 130 სმ, ხოლო მეორეში - 160 სმ. 15-20 სმ ნიადაგში ჩასობის შემდეგ. რკალის სიმაღლე ნიადაგის ზედაპირიდან პირველ შემთხვევაში 25-30 სმ უნდა იყოს, ხოლო მეორეში - 30-35 სმ.

10 მეტრიანი სიგრძის (ფართი 9 კვ.მ.) გვირაბისებრი სათბურკვალის მოსაწყობად საჭიროა 11 ცალი 160 სმ სიგრძის „კატანგა“ მავთული, 40 მ სიგრძის პოლიეთილენის ხეზი (შპაკატი), ორი ცალი პალო, 12-13 მეტრი სიგრძისა და 160 სმ სიგანის პოლიეთილენის ფირი, ხოლო ფირის სამაგრად 10-12 მეტრი სიგრძის

ხის ბოძები. ასე მოწყობილ კვალსათბურებში ბიომასად შეიძლება გამოიყენოთ წინასწარ შეხურებული ნაკელი. ჩვენს პირობებში კი გათბობა მხოლოდ მზის თბიერებაზეა დამოკიდებული. კვალში თესვამდე (მანამდე დაბურული უნდა იყოს) შეაქვთ 1 კვ.მ.-ზე 4-5 ვედროს ოდენობით გაცრილი, გადამწვარი ნაკელი. მას თოხნიან, ასწორებენ ფოცხით, შეაქვთ მახრებისა



და მლრდნელების საწინააღმდეგო მასალა (თუთიის ფოსფატი, დერლილი, მზესუმზირის ზეთი), შემდეგ ყოფენ 8-10 სმ მწკრივებად, თესავენ, ფარავენ მინის თხელი ფენით, ტკეპნიან, თესვისთანავე რწყავენ და აფარებენ ფირს. მოვლითი სამუშაოებია – მორწყვა ყოველ მე-2 ან მე-3 დღეს, მარგვლა - გაფხვიერება - გამოხშირვა 2-3-ჯერ, წამლობები მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგოდ 2-3-ჯერ, განოყიერება-გამოკვება სარწყავით (10 ლ წყალში ყრიან 1 ასანთის კოლოფ აზოტიან და ფოსფორიანი სასუქს. კარგად მორევის შემდეგ, ხსნარს მოასხურებენ 1-1,5 კვ.მ.-ზე

და შემდეგ აუცილებლად ჩარეცხავენ სუფთა წყლით). ამოღების წინ 2-3 დღით ადრე ჩითილი სასურველია დამუშავდეს სისტემური ფუნგიციდითა და ინსექტიციდით, ხოლო ერთი დღით ადრე კი აუცილებლად უნდა მოვრწყათ, რომ ფესვთა სისტემა დაუზიანებელი შერჩეს.

მცენარეების აღმოცენების შემდეგ, მზიან ამინდში, საჭიროა ფირების მოხდა, ხოლო საღამოსათვის კვლავ დაფარება. ამ სამუშაოების შედეგად, უნდა მივიღოთ 1 კვ.მ-ზე პამიდვრის 300-400 ცალი ჩითილი, კომბოსტოს - 200-250ც, ხოლო წინაკის 400-500ც. ჩითილი. თესვის წინ თესლი უნდა შეიწამლოს შესაბამისი ფუნგიციდით.

ნიაზის განვითარება

ორგანული სასუქებიდან, საბოსტნე ნაკვეთებში, ძირითადად მსხვილფეხა საქონლის გადამწვარი ნაკელი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც საშუალოდ შეიცავს - 0,5% -ს, 0,25% P_2O_5 -ს და 0,6% K_2O -ს. თუ ჰექტარზე შევიტანთ 30 ტონა გადამწვარ ნაკელს, მაშინ შეტანილი იქნება N - 150 კგ, P_2O_5 - 75კგ და K_2O - 180 კგ. აქედან გამომდინარე, ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ნაკელის შეტანისას მინერალური სასუქების გამოყენების 50%-ით შემცირებას, რაც საკმარისია იმისათვის, რომ მცენარე უზრუნველყოფილი იყოს მინერალური საკვებით.

ცხრილი 1

პოსტერული კულტურების მიერ მინერალური ელემენტების გამოფარა ნიადაგიდან მოსავლიანობის მიხედვით

№	კულტურა	მოსავალი 1 ჰა-ზე ტონა	1 ჰექტარზე მოსავალი შეიცავს (გამოაპის) კგ		
			N	P ₂ O ₅	K ₂ O
1.	თეთრთავიანი კომბოსტო	50	205	70	245
2.	პომიდორი	40	132	46	181
3.	სუფრის ჭარხალი	40	108	61	171
4.	სტაფილი	30	69	31	114
5.	თავიანი ხახვი	25	111	29	53
6.	კიტრი	30	51	41	78
7.	ბოლოკი	10	50	15	54

მინერალური სასუქების დოზების დაცვა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, ვინაიდან მცირე დოზების შეტანამ შეიძლება ნიადაგის გამოფიტვა გამოიწვიოს, ხოლო ჭარბი დოზების გამოყენებისას კი შესაძლოა მოხდეს პროდუქციის დაბინძურება.

თუ ნიადაგის განოყიერებას მარტო ნაკელით ვა-პირებთ, მაშინ ჰექტარზე 60-100 ტონა ნახევრად

გადამწვარი ნაკელის შეტანაა საჭირო, ბუდნებში შესატანად კი საკმარისია 12-20 ტონა გადამწვარი ნაკელი. აღნიშნული დოზით ნიადაგის განოყიერება მოქმედებს 2-4 წლის განმავლობაში.

მინერალური სასუქებიდან მებოსტნეობაში ძირითადად იყენებენ აზოტიან, ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს. მათი დოზების განსაზღვრისას

უნდა გავითვალისწინოთ სასუქებში საკვები ელე-
მენტების პროცენტული შემცველობა, მასზე მცენა-
რის მოთხოვნა და ნიადაგის ტიპი.

თესლის ხარისხობრივი მაჩვენებლები და მისი მომზადება დასათესად

თესლი უნდა იყოს ახალი, საღი და კარგად მომწიფე-

ბული. დასათესად საუკეთესოა ერთი წლის თესლი.
გამონაკლის წარმოადგენს გოგროვანი მცნარეები,
რომელთა 2-3 წლის თესლები ერთი წლის თესლ-
ზე უფრო ნაყოფიერია. თესლის გამოყენების ხან-
გრძლივობა, ხარისხობრივი და სხვა მაჩვენებლები
წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 2

პოსტნეული კულტურების თესლების ღირსახის მაჩვენებლები და თესვის ნორმები

№	კულტურა	თესლის შენახვის ვარგისია- ნობა / (წ.)	1 გ-ში თესლის რაოდენობა / (ცალი)	აღმოცენების ურარი / კლასის თეს- ლისათვის / %	1000 თეს- ლის ნორ- მა (გრ.)	თესვის ნორმა კგ/ჰა	მცენარეთა დგომა 1 ჰა-ზე ათა- სი ცალი
1.	თავიანი კომ- ბოსტო	3-4 წელი	250-300	85%	3,1-3,5	0,4-0,6	25-30
2.	პომიდორი	4-8 წელი	250-300	85%	2,8-3,3	0,4-0,6	35-45
3.	სუფრის ჭარ- ხალი	4-5 წელი	50-90	80%	10-16	10-12	400-600
4.	სტაფილო	2-3 წელი	800-900	70%	1,3-1,5	4,0-6,0	1200-1500
5.	თავიანი ხახვი	3	350-400	80%	2,8-3,7	6-8	5000-6000
6.	კიტრი	6-8	40-60	90%	16-25	3,0-3,5	200-240
7.	ბოლოკი	3-4	100-120	85%	7-8	8-10	1250-1300

ბოსტნეულის დასათესად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ ცხრილში აღნიშნული ლირსების თესლები, ხოლო საკუთარი წარმოებისას თესლი უნდა დავამზადოთ მხოლოდ | კლასის თესლების მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველმხრივ შემოწმეული თესლი თესვამდე კვლავ მომზადებას მოითხოვს. დათესვის ნინ თესლი 2-3 საათით უნდა მოთავსდეს თერმოსტატში $+60+62^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე, შემდეგ კი მოხდეს მისი მშრალი წესით წამლობა (რომელიმე ახალი პრეპარატით).

ამისათვის თესლი და პრეპარატი უნდა მოვათავსოთ ჰერმეტულად დახურულ მინის ჭურჭელში ან პოლიე-თილენის პარკში (1 კგ თესლზე 4-6 გრ პრეპარატის შერევით) და ვანჯლრიოთ 5-10 წუთის განმავლობაში. პროცედურის დასრულების შემდეგ თესლი შეგვიძლია დასათესად გამოვიყენოთ.

იმისათვის, რომ ჩვენთვის სასურველი რაოდენობის თესლი ვაწარმოოთ, უნდა ვიცოდეთ კულტურის თესლის მოსავლიანობა და მისი გამოსავალი. იხილეთ ცხრილი 3.

ცხრილი 3
პოსტნეულის თესლის მოსავლიანობა და გამოსავალი

№	კულტურა	თესლის მოსავალი ცენტ/ჰა	თესლის გამო- სავლის % პროცენტის მასივაზე	სათესლე საიზოლაციო მანძილი, არანაკლები - მეტრი	
				ღია გრუნტი	დაცურული გრუნტი
1.	თავიანი კომბოსტო	34	-	2000	800
2.	პომიდორი	0,6-1,0	0,25-0,5	100	50
3.	სუფრის ჭარხალი	6-8	-	2000	800
4.	სტაფილო	3-4	-	2000	800
5.	თავიანი ხახვი	3-6	-	1000	500
6.	კიტრი	1,0-1,5	0,45-1,2	1000	500
7.	ბოლოკი	5-6	-	2000	600

მორცვა

ვეგეტაციის პერიოდში ბოსტნეული მცენარეები დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარენ, ამიტომ გვალვიან ადგილებში, მყარი, უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღება, მორწყვის გარეშე შეუძლებელია.

ბოსტნეული მცენარეები, ტენიანობის ყველაზე მეტი მოთხოვნილებით, განვითარების სხვადასხვა ფაზებში გამოირჩევიან: ხახვი – ფოთლების ინტენსი-

ური ზრდის ფაზაში, კიტრი და პომიდორი – ნაყოფის განვითარების ფაზაში, კომბოსტო – თავების დახვევის დაწყებიდან, ძირხვენები – ზრდისა და ძირხვენების დამსხვილებისას.

მორწყვის სიხშირე დამოკიდებულია ნიადაგზე, კლიმატზე, გამოყენებულ აგროტექნიკაზე, მორწყვის წესებზე, კულტურის სახეობაზე, მორწყვის ნორმაზე და სხვ. ამიტომ ნიადაგი უნდა მოვრწყათ იმ ვარაუ-



დით რომ მასში წყალი კრიტიკულ დონემდე (ზღვრული ტენ-ტევადობის 60-65%-ზე) არ დავიდეს.

ბოსტანი უნდა

მოვრნებათ კვლებში მიშვებით. მცირე ნაკადით – გა-ჟონვის (ჰორიზტალური ფილტრაცია) წესით. სარ-წყავი კვლები უნდა დაიჭრას მიწის შემომყრელი გუთნებით, ცხენის ან მინი ტრაქტორების საკიდი კულტივატორ-მინის შემომყრელებით. სარწყავი წყლის ეკონომისა და მაღალეფექტური გამოყენების თვალსაზრისით საუკეთესო შედეგებს იძლევა წვე-თოვანი მორწყვა.

პოსტნეულის მოვლა

ბოსტნეული კულტურების ნათესების მოვლა მოითხოვს ისეთი სამუშაოების ჩატარებას, როგორიცაა ნიადაგის ზედაპირზე გარენილი ქერქის დაშლა, გაცდენილი ადგილების გამოთხვა –გამორგვა, საჭიროების მიხედვით ოხნა–გაფხვიერება; სარევ-ელებთან ბრძოლა; ქიმიური და ბიოლოგიური მეთო-

დებით მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა; ნათე-სების გამეჩერება–მწერივების მარგვლა, მორწყვა, სათესლების აკვრა და ა.შ.

ნათესების მარგვლა უმჯობესია ჩატარდეს ნაწი-მარზე ან მორწყვის შემდეგ, ტენიანი ნიადაგიდან სარეველების ფესვიანად ამოლება უფრო იოლია. სარეველა მცენარეები სასურველია მოისპოს, როგორც ნათესებში, ისე გზებზე და სარწყავ არხებთან.

ნათესების გამეჩერიანების პერიოდი დამოკიდე-ბულია კულტურის თავისებურებასა და გამეჩერი-ანების წესზე. პირველი გამეჩერიანებისას მცენა-რეებს შორის (ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, კიტრი და სხვ.) მანძილი 2-3 სმ-ს არ უნდა აღმატებოდეს, შემდეგ კი თანდათანობით გავზარდოთ, სანამ მცე-ნარისათვის საჭირო კვების არეს არ მივაღწევთ. ზო-გიერთი კულტურების (სტაფილო, ჭარხალი, ხახვი, ბოლოკი და სხვ.) განმეორებით გამეჩერიანება მა-ნამ არ უნდა ჩატარდეს, სანამ ახალგაზრდა მცენარე საკვებად არ იქნება გამოსადეგი (ხაკონე ხახვი, სტა-ფილო, ჭარხალი, ბოლოკი და სხვ.).

ერთნლიანი პოსტენეული კულტურების ხათესლეობის აგროტექნიკა

ერთნლიან ბოსტნეულს მიეკუთვნებიან ის მცენარეები, რომლებიც თავიანთ სასიცოცხლო ციკლს აღმონაცენიდან თესლის მომზიფებამდე ერთ სავეგეტაციო პერიოდში ამთავრებენ. ესენია: პომიდორი, ბალრიჯანი, წიწაკა, კიტრი, ნესვი, საზამთრო, გოგრა, ყაბაყი, პატისონი, სალათა, ისპანახი, ლობიო, ქინძი, ცერეცო, ქონდარი, რეჟანი და სხვა.

პომიდორი



პომიდვრის სამშობლოდ მექსიკა და სამხრეთ ამერიკის ტროპიკული მხარე ითვლება. სამშობლოში პომიდორი მრავალნლიანი მცენარეა. ჩვენში მას ვამრავლებთ, როგორც ერთნლიან კულტურას. ე.ი. ნაყოფსა და თესლს პირველ წელსვე ვიღებთ. პომიდორი სითბოს მოყვარ

ული მცენარეა, იგი $+10 +12^{\circ} \text{C}$ ტემპერატურაზე ზრდას აჩერებს, ხოლო $0 - 1^{\circ} \text{C}$ იღუპება.

პომიდვრისთვის ყველაზე კარგ ნიადაგად ითვლება ნაყოფიერი, სტრუქტურიანი, მსუბუქი თიხნარი, თიხა, კარგი წყალტევადობის ღრმა ნიადაგები. მისთვის უვარგისია ჰაერისა და წყლის ცუდი ტევა-დობის, მუავე და ტუტე ნიადაგები. გვალვიან ადგილებში პომიდვრისთვის უნდა შევარჩიოთ მხოლოდ სარწყავი ნაკვეთები.

ნიადაგის განოყირება

პომიდორი ნიადაგიდან დიდი რაოდენობით საკვებელემენტებს იღებს, ამიტომ მისთვის შერჩეული ნაკვეთი ან წინა წლის განოყირებული უნდა იყოს, ან უშუალოდ - დარგვის წინ. ნიადაგის განოყირების მიზნით, მინერალური სასუქებიდან ვიყენებთ აზოტოვან, ფოსფოროვან და კალიუმიან სასუქებს.

სასუქის შეტანა აუცილებელია ერთმანეთთან სიმბიოზში. აზოტის შეფარდება კალიუმთან უნდა იყოს 1:2. ეს ნიშნავს, რომ თუ აზოტი 2 კგ. შეგვაქვს, კალიუმი უნდა შევიტანით 4 კგ. (იგულისხმება წმინდა ელემენტი, ანუ - მოქმედი ნივთიერება). ამით მცირდება ნიტრატების (NO_3^-) და (NO_2^-) შემ-

ცველობა. შესაბამისად გარანტირებულია ეკოლო-
გიურად სუფთა პროდუქტის მიღება. ცალმხრივი
გაპატივებისას სასუქების ეფექტი დაბალია. მაღალი
და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია
სამივე სახის სასუქის შეტანა სათანადო დოზებით.

საპომიდვრე ნაკვეთში შეაქვთ 40-60 ტონა საქონ-
ლის გადამწვარი ნაკელი, ხოლო ნახევრად გადამ-
წვარი – უფრო მეტი. თუ გადამწვარი ნაკელი ცოტა
გვაქვს, იგი ბუდნებში (მცენარეთა ძირში) უნდა შე-
ვიტანოთ 0,5-1,0 კგ. რაოდენობით.

სარწყავ და ჭარბტენიან ადგილებში ორგანული,
ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები შეაქვთ
შემოდგომაზე, მზრალად ხვის წინ, ან გაზაფხულ-
ზე, კულტივაციის დაწყების წინ. ორგანული სასუქის
შემოდგომაზე შეტანის შემთხვევაში მინერალური
სასუქების დოზები უნდა განახევრდეს.

იმ შემთხვევაში, თუ პომიდორს მხოლოდ მინერალ-
ური სასუქებით ვანოყიერებთ, ერთ ჰექტარზე უნდა
შევიტანოთ 4-5 ცენტნერი სულფატამონიუმი ან 2,5-
3,0 ცენტნერი ამონიუმის გვარჯილა, სუპერფოსფატი
5-7ც და კალიუმის მარილი 1,5-2,0 ც. შეტანა ხდება
ხელით და მანქანით, მნიჭივად ან მოფანტვით.

ნიადაგის დამუშავება

სათესლე ნაკვეთის დამუშავება უნდა
დავიწყოთ წინამორბედი კულტურების
ნარჩენების გაწმენდით, შემდეგ ნიადა-
გში შევიტანოთ ორგანო-მინერალური
სასუქები და მოვხნათ წინასახნისაინი
გუთნით 26-28 სმ სიღრმეზე. გაზა-
ფხულზე მზრალის შეშრობისთანავე,
ტენის შენარჩუნების მიზნით, ნიადაგი
დავფარცხოთ და ნაკვეთი ჩითილების
დარგვამდე ასე დავტოვოთ. დარგვის წინ
შევიტანოთ აზოტიანი სასუქი და ჩავატაროთ
კულტივაცია-დაფარცხვა. ბოლოს გავაკეთოთ ბაზო
კვლები და სარწყავი არხები.

პომიდორის თესვა და ჩითილების

გადარჩვა

პომიდვრის ჩითილი უნდა გამოვიყვანოთ კვალსათ-
ბურებში, პოლიეთილენის სათბურკვალში (იხ. ნახ 1)
ან ღია კვლებში. თესვა უნდა ჩატარდეს გადარგვა-
მდე 50-65 დღით ადრე. უკვე მომძლავრებული და
კარგად განვითარებული ჩითილები დასარგავად მუ-
დმივ ადგილზე გადავიტანოთ.



პოსტერლის ჩითილისა და პროდუქციის მოსაყვანი მზის თბურების გვირაბისებრი სათკურკვალი



პომიდორის ჩითილი ამოლების წინ 2-4 დღით ადრე უნდა მოირწყას, შეინამლოს სისტემური ფუნგიციდისა და სისტემური ინსექტიციდის კომბინირებული ხსნარით და დაირგას მუდმივ ადგილზე. დაბალმოზარდ დეტერმინანტულ ჯიშებს შორის კვების არეა 70სმ X 30-35სმ, ხოლო მაღალმოზარდი ჯიშების - 70სმ X 60-70სმ-ზე. ჩითილი ირგვება ხელით, პალოს გამოყენებით, ან - ბარით. და-



ბალმოზარდი ჯიშების აღზრდა ხდება ბაზო-კვლებზე დაწილით, ხოლო დაწილით 4-6 დღის შემდეგ საჭიროა გაცდენილი ადგილების გამორგვა და განმეორებით მორნევა.


მაღალმოზარდი ჯიშები უნდა აიკრას სარეზზე, მავთულზე დაკიდებულ თოკზე ან გვირაბისებრ საყრდენებზე. ნარგავები უნდა მოირწყას.

სხვადასხვა კონსტრუქციის საყრდენები მაღალმოზარდი პოსტერლის კულტურებისთვის

მეორე ნახატზე წაარმოდგენილი მაღალმოზარდი პომიდორისათვის საყრდენების რამდენიმე ტიპი არსებობს. საყრდენებად შეიძლება გამოვიყენოთ ხის სარები, ბამბუკი, 6-8 მმ სიგრძის “კატანკა” მავთული, პოლიმერული მასალის მილები, ხის დამუშავების შედეგად დარჩენილი წვრილი ნარჩენები და სხვა.

დარგვიდან 4-6 დღის შემდეგ საჭიროა გაცდენილი ადგილების გამორგვა და განმეორებით მორნევა.

ვეგტაციის პერიოდში ნიადაგი უნდა იყოს ფხვიერი და სარეველებისგან გათავისუფლებული. ამისათვის საჭიროა თოხით ან ხელის კულტივატორით მწკრივების 2-3-ჯერ დამუშავება, მორნევა მოთხოვნილებისდა მიხედვით (4-6-ჯერ), მავნებლებისა და დაავადებების ნინააღმდეგ სისტემატური ბრძოლა.



მაღალმოზარდ სათესლე პომი-დორს საყრდენებზე აკრავენ 2-3 ადგილას. საყრდენებზე აკრული მცენარეები უკეთაა განათებული, ნაყოფი არ ტალახიანდება და ნაკლებად ავადდება. შედეგად მიიღება მაღალხარისხოვანი ნაყოფი და სათესლე მასალა.

გამოკვეპა

ვეგეტაციის პერიოდში პომიდორის გამოკვება სასურველია ორგანული ნივთიერებებით. წყალში დადუღებული 1 წილი ფრინველის ნაკელი უნდა გაზავდეს 10-15 წილ წყალში. თუ ფრინველის ნაკელი არ გვაქვს, მაშინ შეგვაქვს 4-5 წილ წყალში გაზავებული საქონლის ჟიჟა, ან 8-10 წილ წყალში გაზავებული საქონლის ახალი ნაკელი, რომელიც მცენარეებს ძირებში 8-10 მ სიგრძეზე უნდა მოესხუროს. ყოველ ვედრო ხსნარს უნდა დაემატოს 50 გ. სუპერფოსფატი, 20-25 გრამი კალიუმი. ნარევი უნდა მოესხუროს ნიადაგზე. ეს პროცედურა ტარდება 1-2-ჯერ, პირველად - ნაყოფების ფორმირების დასაწყისში, მეორედ - ორი კვირის შემდეგ.

გასხვლა

გასხვლა საჭიროა მაღალმოზარდ, ძლიერი განვითარების პომიდვრის ჯიშებზე. იგი ხელს უწყობს მცენარის კვების პირობების გაუმჯობესებას, მათ მაქსიმალურ განათებას, ნაყოფების დამსხვილებას და დაავადებების გავრცელების შემცირებას. პომიდვრის დაბალტენიანი ჯიშები არ ისხვლება.

გასხვლისას პომიდორს უნდა დარჩეს ძირიდან 2-3 ამონაყარი, ხოლო სხვა ამონაყარი – ნამხრევები, მთლიანად უნდა შეეცალოს, რომ ბუჩქი გამოთხელდეს. ვეგეტაციის პერიოდში შეიძლება მისი გაფურჩქვნაც.

ჯიშური მოენდა

სათესლე ნაკვეთებზე აუცილებელია ჩატარდეს ჯიშური ნმენდა. ჩითილების დარგვისას უნდა გამოვარჩიოთ და გადავყაროთ სუსტი, დაავადებული და ჯიშური ნიშნებით გადახრილი მცენარეები. ჯიშური ნიშნები მკვეთრად შეინიშნება ნაყოფების დამწიფების დასასწიში. ამიტომ უჯიშო და დაავადებული მცენარეები პირველი კრეფის დაწყებამდე უნდა გადავყაროთ და შევადგინოთ სათანადო აქტი. საუკეთესო მცენარეები მოვნიშნოთ სპეციალური იარ-

ლიყუბით (პოზიტიური გადარჩევა), ხოლო სათესლე ნაყოფები მოვკრიფოთ შერჩევით. დარჩენილი ნაყოფი შეიძლება გამოვიყენოთ საკვებად.

თესლის დამზადება

პომიდვრის მოსავლის ალებამდე უნდა ჩატარდეს აპრობაცია. თესლის გამოსავლიანობა ბევრად არის დამოკიდებული თესლის დამზადების ტექნიკაზე. ყველაზე მოსავლიანად ითვლება პირველი ხუთი მტევნიდან შერჩეული საუკეთესო ნაყოფის თესლი. ამიტომ, როგორც წესი, თესლი უნდა დამზადდეს პირველი 5-6 კრეფის პერიოდში ალებული ნაყოფის თესლიდან. თესლის დამზადება უნდა დასრულდეს სექტემბრის პირველ დეკადაში. მოკრეფილი მწიფე ნაყოფი რამდენიმე დღით უნდა მოვათავსოთ სპეციალურ ტარაში ან თაროებზე - უკეთ დასამწიფებლად, რათა დარბილებულ ნაყოფს თესლი ადვილად მოსცილდეს.

თესლის დამზადების წინ სათესლე ნაყოფები უნდა გავრცელოთ, შემდეგ გავჭრათ გარდიგარდმო და ცერის დაჭერით თესლი ბუდიდან გამოვაცალკევოთ. გამოცალკევებული თესლი მოვათავსოთ ხის კასრში ან მინის ჭურჭელში და დავტოვოთ დასადლებლად არაუმტეტეს 2-3 დღისა, რომ არ შემ-

ცირდეს მისი ალმოცენების უნარი. ე.წ. “დადუღებული” თესლი 3-4 ჯერ გავრცელოთ წყლით და ჭურჭლის ძირზე დაძირვისთანავე გადავწეროთ. კარგად გარეცხილი თესლი გავშალოთ ფიცარზე ან ტილოზე და მოვათავსოთ ჩრდილიან ადგილას გასაშრობად. თუ თესლი დაიკოშტა, ის ხელით უნდა დავფშვნათ. თესლის გამოსავალი შეადგენს 0,3-0,5%-ს. ე.ი. 300-500 გრ. თესლის მისაღებად საჭიროა 100 კგ პომიდორი. თესლის აბსოლუტური წონა 2,5-6 გრ-ია.

ნინაკა

ნინაკის სამშობლოდ მექსიკა და გვატემალა ითვლება. თავის სამშობლოში წინაკა მრავალწლიანი მცენარეა.

ჩვენში მას ვამრავლებთ როგორც ერთნებიან კულტურას, თუმცა, ქოთნებში, ოთახის და სათბურის პირობებში მოყვანილი წინაკა რამდენიმე, წელი ცოცხლობს.

წინაკა სინათლის და წყლის მოყვარული ბოსტნეულია. იგი მოითხოვს ნოყიერ, ფხვიერ, სტრუქტურიან ნიადაგს. მისთვის



განოყიერება მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთი პირობაა.

ნაყოფის გემოს მიხედვით ანსევავებენ ტკბილ და მწარე წინაკას. ტკბილ წინაკას უმთავრესად იყენებენ საკონსერვო წარმოებაში, მწარეს კი - სანელებლად. წინაკა ყველაზე მეტ „C” ვიტამინს შეიცავს, იგი თვითმტკვერიაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჯვარედინად მტკვერიანდება, ამიტომ, ჯიშიანი მეთესლეობის მიზნით, ჯიშებს შორის სივრცობრივი იზოლაცია უნდა იყოს დაცული.

წინაკის აგროტექნიკა – პომიდვრის აგროტექნიკის მსგავსია. წინაკას, ისევე, როგორც პომიდორს, წინასწარ გამოყვანილი ჩითილით ვრგავთ, რომელიც გადარგვამდე 40-50 დღით ადრე ითესება. 1 მ²-ზე მოდის 300-400 ცალი თბილ ან ღია კვალზე გამოყვანილი ჩითილი.

წინაკას, პომიდვრის მსგავსად ჭირდება ნიადაგის მომზადება, სასუქების შეტანა, გამოკვება, ჩითილების ამოლება, დარგვა და მოვლა.

წინაკა ირგვება მწერივად. ტკბილი წინაკის დარგ-

ვის სქემაა 60სმ X 30სმ, მწარე წინაკის კი - 50სმ X 25სმ. წინაკას რგავენ ბაზო კვლებზე. დარგვის შემდგომ აუცილებელია მორნყვა და 4-6 დღის შემდეგ გაცდენილი ადგილების გამორგვა. წინაკა დიდი რაოდენობით ჰაერს და ტენს მოითხოვს. ნაყოფების გამონასკვა კარგად მიმდინარეობს მაშინ, როცა ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 60-70%-ია. ნაკლები ტენიანობისას ნასკვი და ახლად გამონასკვული ნაყოფი ცვივა. ამიტომაც, ვეგეტაციის პერიოდში, იგი მოითხოვს 8-10-ჯერ მორნყვას. მოსავლიანობაში შესვლის პერიოდიდან რნყვა ყოველი კრეფის შემდეგ ტარდება. სათესლედ შერჩეულ თითოეულ ბუჩქზე უნდა დავტოვოთ 3-6 ცალი საუკეთესო ნაყოფი, უვარგისები კი მოვცრიფოთ.

სათესლე წინაკის ჯიშური წმენდა ტარდება მცენარის მთელ სავეგეტაციო პერიოდში. აამ დროს ნაკვეთს უნდა მოვაცილოთ ჯიშისათვის არატიპიური მცენარეები(დაავადებულიდადაბალმოსავლიანი)

და შევადგინოთ სათა-
ნოთ სათა-
ნადო



აქტი. წინაკის ჯიშური თვისებების გაუმჯობესების მიზნით, სათესლე ნაკვეთებში, სისტემატურად უნდა შევარჩიოთ საუკეთესო ეგზემპლარები. მათგან ავიღოთ თესლი და შევინახოთ სათესლედ შემდეგი წლისათვის.

წინაკიდან თესლს ვიღებთ მაშინ, როდესაც ნაყოფი სრულ სიმნივეს მიაღწევს. მნივე ნაყოფს უკვე აქვს ჯიშისათვის დამახასიათებლი ფერი. სათესლე ნაყოფები მოვკრიფოთ ხელით.

ოჯახში მოსახმარებელი ნაყოფი ძაფზე ასხმული, მშრალ ადგილას უნდა შევინახოთ. დათესვის დღეს თესლი ნაყოფს მოვაცილოთ და დავთესოთ. იმ შემთხვევაში, თუ თესლს სარეალიზაციოდ ვამზადებთ, საჭიროა, დროულად გამოვილოთ ნაყოფიდან. თესლის გამოსალებად უმჯობესია, სათესლე ნაყოფის ყუნწს თითით დავაწვეთ და შიგნით ჩავამტკრიოთ. შემდეგ ყუნწით ამოვილოთ თესლბუდე, გავფინოთ, გავაშროთ და თესლი თესლბუდიდან გამოვიდვნათ. ნაყოფგარემო კი ცალკე გავახმოთ და სანელებლად გამოვიყენოთ.

ცხარე წინაკის თესლის გამოცლისას, აუცილებე-

ლია, სახეზე იქმნიოთ დოლბანდის საფარი, რადგან კაფსაცინმა (სიცხარემ) სასუნთქი გზები და თვალის ლორწოვანი გარსი არ დააზიანოს. ნაყოფი გამოფშვნამდე წყლით უნდა დაინამოს. თესლი განმეორებით უნდა გამოშრეს და შესანახად მოთავსდეს სპეციალურ იარლიყუან ტომრებში.

ტებილი წინაკის 1ტ. ნაყოფიდან (ნედლი) მიიღება 30-36 კგ. თესლი ე.ი. თესლის გამოსავალია 3-3,5%, ხოლო მწარე წინაკის ნაყოფის თესლის გამოსავალია 7-8%. ე.ი. ყოველ 100 კგ. ნედლი სათესლეებიდან მიიღება 7,0-8,0 კგ. თესლი, ხოლო გამხმარი, მწარე წინაკის ნაყოფის თესლის გამოსავალია 25-30%. 1 ჰა-დან თესლის საშუალო გამოსავალია 1-2 ცენტ-ნერი.

პიტრი

კიტრის სამშობლოდ ინდონეზია და სამხრეთ ჩინეთი ითვლება. კიტრი, სითბოს და ტენის მოყვარული, მხვიარა და მხოხავი, ჯვარედინმტვერია მცენარეა. იგი ივითარებს ერთბინიან, ცალსქესიან ყვავილებს. მეთესლეობის ზონებში უნდა ვთესოთ კიტრის მხოლოდ ერთი ჯიში.



კიტრი მოკლე სავეგ- კიტრისათვის საუკეთესო წინამორბედებია: ერ-
ეტაციო პერიოდის კულ- თნლანი და მრავალწლიანი ბალახები, პარკოსნები,
ტურაა, დათესვიდან 50- კომბოსტო, ხახვი და კარტოფილი.

60 დღეში იძლევა მწვანე

ნაყოფს, ხოლო 30-100 უნდა ვიცოდეთ, რომ ბოსტნეული კულტურების
დღეში სრულიად ვარგი ერთსა და იმავე ნაკვეთზე თესვა-რგვა დაუშვებელია.
სიან თესლს.

ქარიან და მზისგულ ადგილებში მიზანშეწონილია
კიტრი მოითხოვს კიტრის კულისური თესვა. ქარის საწინააღმდეგო
ნოენირ, სტრუქტურიან მხრიდან, ყოველი 5-6 მეტრის დაშორებით, კიტრს
ნიადაგს. მის მოსაყვანად უნდა დავუთესოთ, ორ-სამ მწერივად, სიმინდი, მზე-
საუკეთესო მოსავალს სუმზირა, ან სორგო.

იძლევა ახლადათვისებუ-

ლი ახო და ყამირიანი ნიად- ნიადაგის მომზადება

აგები. თესლბრუნვაში იკავებს ნაკელით განოყირე-
ბულ პირველ მინდორს. ნაკელით გაპატივებისას იწყება და გრძელდება თესვის პერიოდამდე. შემოდ-
პექტარზე საჭიროა 40-60 ტ. საქონლის გადამწვარი გომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში, ნაკვეთი უნდა
ნაკელი და მინერალური სასუქების სრული დოზის გაინმინდოს ნინამდებარე კულტურის ნარჩენებისა-
50%. მინერალური სასუქებით განოყირებისას, სრუ- გან, შეტანილ იქნას ორგანო-მინერალური სასუქების
ლი დოზებია: სუპერფოსფატი 5-6 ცენტნერი, სულფა- გარკვეული რაოდენობა და მოიხნას მზრალად. ტენის
ტამონიუმი 2,5-3 ცენტნერი, ან ამონიუმის გვარჯილა შენარჩუნების მიზნით, მზრალი, ადრე გაზაფხულზე,
ამ დოზის ნახევარი და კალიუმის მარილი 1,5-2,0 ნიადაგის პირის შეშრობისთანავე უნდა დაიფარცხოს,
ცენტნერი ჰექტარზე.

კიტრისათვის ნაკვეთის დამუშავება წინა წელს
კიტრისათვის ნაკვეთის დამუშავება წინა წელს
კიტრისათვის შეტანილ იქნას ორგანო-მინერალური სასუქების
გარკვეული რაოდენობა და მოიხნას მზრალად. ტენის
გარკვეული რაოდენობა და მოიხნას მზრალად. ტენის
შენარჩუნების მიზნით, მზრალი, ადრე გაზაფხულზე,
შენარჩუნების მიზნით, მზრალი, ადრე გაზაფხულზე,
იქნას აგროტექნიკით გათვალ-
ისწინებული აზოტიან-მინერალური სასუქი და ჩაუ-



ტარდეს კულტივაცია-და-ფარცხვა. ამგვარად ნაკვე-თი მზადაა დასათესად.

თესვა

თესვა უნდა დავიწყოთ
მაშინ, როდესაც ნიადაგში
10 სმ სიღრმეზე ტემპერა-
ტურა $+13+15^{\circ}\text{C}$ მიაღწევს.

სათესლედ, ჩვეულებრივ, ამ-ჯობინებენ 2-3 წლის თესლებს. სანამ დავთესავთ,
თესლი 2 საათის განმავლობაში თერმოსტატში უნდა
გავახუროთ ($+55+62^{\circ}\text{C}$), შემდეგ გავაგრილოთ და
სათანადო პრეპარატით შევწამლოთ. შენამლვამდე
თესლი ოდნავ უნდა დაკნამოთ, რათა ნამალი კარ-
გად მიეკრას და 5-10 წუთის განმავლობაში ვანჯლ-
რიოთ. თესლი უნდა შეინამლოს თითოეულ კილო-
გრამზე 4-6 გრ. ნამლის შერევით. ეს პროცედურა
ჩავატაროთ თავდახურულ ქილაში ან პოლიეთილე-
ნის თავმოკრულ პარკში. ამის შემდეგ თესლი მზადაა
დასათესად.

კიტრის თესვა უმჯობესია მწკრივებად. გრძელ-
ბარდიანი ჯიშები ითესება 110-120 სმ მწკრივთა-

შორისებით, მოკლებარდიანები კი - 80-90 სმ. მწკრი-
ვებში გრძელბარდიანი ჯიშები საბოლოოდ 22-25 სმ-ზე უნდა დავტოვოთ, ხოლო მოკლებარდიანები - 18-
20 სმ-ზე. თესლის თესვის სიღრმე დამოკიდებულია
ნიადაგზე და მის ტენიანობაზე. მსუბუქ ნიადაგებში
თესლს ვთესავთ 4-5 სმ სიღრმეზე, მძიმე ნიადაგებში
კი - 2-3 სმ-ზე. თესვის ნორმა მწკრივად თესვისას
4-5 კგ/ჰ-ია. თესვის შემდგომ უნდა გაიჭრას სარწ-
ყავი კვლები, ხოლო, თუ გვალვის გამო აღმონაცენი
დროზე ვერ მივიღეთ, საჭიროა მაშინვე მორწყვა.

ნათესის მოვლა

თუ ნათესი მოვიღეთ მეჩერი, ის მაშინვე უნდა
გამოითესოს ნინასწარ დამბალი, იმავე ჯიშის და
პატიის თესლით. მასობრივი აღმოცენების შემდეგ,
მწკრივებსა და ბუდნებს შორის ნიადაგი ხელით ან
კულტივატორით უნდა გავაფხვიეროთ, ხოლო მცე-
ნარებებს შორის მანძილი ხელით განვსაზღვროთ.

კიტრი აღმოცენებიდან დატოტვის შემდეგ შედარ-
ებით სუსტად იზრდება, ხოლო დატოტვის დაწყების
შემდეგ - სწრაფად. ამიტომ, პირველ ფაზაში ჩატარე-
ბულმა სამუშაოებმა უნდა უზრუნველყონ მცენარეთა
სწრაფი განვითარებისათვის ნიადაგში საჭირო ტენისა



და საკვების რაოდენობა. ამისათვის აუცილებელია - მწკრივებზე მინის შემოყრა და 2-3-ჯერ კულტივაცია- გაფხვიერება, ვიდრე ბარდი არ ჩაიკეტება.

ნათესების გამოხშირვა უნდა ჩატარდეს ორჯერ: პირველი ლებან-ფოთლების ფაზაში ან პირველი ნამდვილი ფოთლის განვითარებისას. ამ პროცესის დროს მცენარეებს ვტოვებთ 6-8 სმ-ის დამორებით, ბუდნებში კი ვაცლით სუსტ და განუვითარებელ ნათესებს. მეორე გამოხშირვა ტარდება 2-3-ჯერ, ნამდვილი ფოთლის ფაზაში, ზემოაღნიშნული მან- ძილების დაშორებით.

მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, საჭიროა, ვეგ- ეტაციის პერიოდში ჩატარდეს მინერალური სასუქე- ბით გამოკვება (მასობრივი ყვავილობის ფაზაში) - ჰექტარზე 70-80 სულფატამონიუმი ან 35-40 კგ ამონიუმის გვარჯილა. ნათესი მაშინვე თოხით უნდა ჩაკრთდეს და მოირწყას.

გამოსაკვებად, ასევე შეიძლება გამოვიყენოთ საქონლის უიუა, ისე, როგორც აღნიშნულია პომიდ- ვრის შემთხვევაში.

მორნყვა და პიგმოპრივი ხელდეა

კიტრი ტენის მოყვარული კულტურაა. იგი მოითხოვს, როგორც ნიადაგის, ასევე შეფარდები- თი ტენის დიდ რაოდენობას. კიტრი კვლებში უნდა მოირწყას 6-8-ჯერ. პირველი მორნყვა საჭიროა თეს- ვამდე, ან თესვის შემდეგ ჩატარდეს. მეორე - მასო- ბრივად აღმოცენების შემდეგ, მესამე - ყვავილობის დაწყებამდე, შემდეგი მორნყვები კი, 8-10 დღის ინ- ტერვალით, ვეგეტაციის პერიოდის დასრულებამდე, რათა ნიადაგში ტენი არ დაეცეს ზღვრული ტენტე- ვადობის 70-65%-ზე ქვემოთ.

ყვავილობისა და გამონასკვის დროს სათესლეების წყლისადმი მოთხოვნილება იზრდება, ამიტომ ამ ფაზაში მცენარეები ყველაზე მეტად უნდა უზრუნველყოთ წყლით.

ჯიშიან სათესლე ნაკვეთებზე, საჭიროა, ჩატარდეს მრავალჯერადი ჯიშური წმენდა. პირველ გაწმენდას ვატარებთ მასობრივი მდედრობითი ყვავილობისა და გამონასკვის პერიოდში. ვაცილებთ ყველა მანკიან, დაავადებულ, სუსტად განვითარებულ, ყვავილობაში გვიან შესულ, ნაკლებ-მოსავლიან (რომელსაც მდედრობითი ყვავილები ცოტა აქვს გამოყვანილი) და ძირითადი ჯიშისაგან განსხვავებულ მცენარეებს.

მეორე ჯიშური წმენდა ტარდება ნაყოფების მასობრივი განვითარებისა და ერთეული სათესლეების მომწიფების დასაწყისში. ამ დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მწვანე ნაყოფის ფორმას, ფერს, ზედაპირის შეფერვის ხარისხს და ტიპს. ჯიშისგან განსხვავებული ყველა მცენარე ნაყოფიანად ითხრება. ამგვარად, სათესლედ რჩება კარგად განვითარებული და ტიპობრივი ფორმის მწვანე ნაყოფი. დანარჩენ ნაყოფს ვიყენებთ საკვებად.

მასობრივი მწვანე ნაყოფების ფორმირებისა და ერთეული სათესლე ნაყოფების მომწიფების დასაწყისში, სათესლე ნაკვეთზე უნდა ჩატარდეს აპრობაცია.

მესამე ჯიშური წმენდა საჭიროების მიხედვით ტარდება.

სათესლეების გამორჩევა. პრეზა და თესლის დამზადება

კიტრის თითოეულ ბუჩქზე სათესლეებად ვარჩევთ ტიპობრივი ფორმისა და სიდიდის 4-5 ნაყოფს. სათესლე კიტრი სხვადასხვა დროს შემოდის, ამიტომ მას რამდენჯერმე ან ერთდროულად ვიღებთ.

თუ მოკრეფილი სათესლე ნაყოფი კარგი შემოსულია, მას მაშინვე ვჭრით და ვიღებთ თესლს, თუ არა, ვტოვებთ მომწიფებამდე გარკვეული დროით ისე, რომ ნაყოფი ლპობამდე არ მივიდეს.

თესლის ხელით გამორჩევისას ნაყოფს სიგრძეზე ვჭრით, ორივე ნახევრიდან თესლს კოვზით ან თითოთ ვაცლით და ვყრით ხის ჭურჭელში დასადუღებლად. დადუღების მესამე დღეს თესლს კარგად მოვურევთ, მოვაცილებთ თავზე მომდგარ თესლს, გავრეცხავთ

5-6-ჯერ, გადავწურავთ ცხრილში და გადავიტანთ საშრობ ქაღალდზე (შეიძლება ნაჭერზე, ცხავებზე, ან ფანერაზე). თესლს ვაშრობთ ჩრდილში ან მზეზე, გაშრობისას საჭიროა არევა, რომ თესლი თანაბრად და დროზე გაშრეს. კიტრის ნაყოფიდან თესლის გამოსავალია 0,7-1,0%. გაშრობის შემდეგ თესლი უნდა განიავდეს, გაიზმინდოს ხელით ან პეტკუსით. განიავებული და დახარისხებული თესლი უნდა მოთავსდეს ტომრებში სათანადო წარწერით, სადაც იქნება მითითებული ჯიშური მონაცემები და წარმოების ადგილი.

თესლის მოსავალი დამოკიდებულია ჯიშზე და ნათესის მოვლაზე. იგი მერყეობს 1,5-3,5 ცენტნერის ფარგლებში. ჰექტარზე თესლის აბსოლუტური წონა 16-35 გრ-ია.

პარკოსნები ლობიო, ცერცვი, პარდა

პარკოსნებს მებოსტნეობაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავთ. მათ პარკს და მწვანე მარცვალს ფართოდ იყენებენ, როგორც საკონსერვო, ისე ყოველდღიურ მოხმარებაში.

მებოსტნეობის თესლბრუნვაში პარკოსნები მეორე-მესამე წელს იკავებენ ორგანული სასუქებით განვითებულ მინდორს. მათვის კარგი წინამორბედებია: კომბოსტო, კიტრი, პომიდორი, ჭარხალი და კარტოფილი. პარკოსანი მცენარეები თავის მინდორს 4-5 წელზე ადრე არ უნდა დაუბრუნდნენ. ისინი თვითმტვერია მცენარეებია, ამიტომ სათესლე ნაკვეთებზე ბარდასა და ლობიოს 2-3 ჯიშის თესვისას საიზოლაციო მანძილად მიჩნეულია 50მ. პარკოსნებისათვის საუკეთესო ნიადაგად მიიჩნევენ ფხვიერ, მსუბუქ, თიხნარ და ნოყიერ მიწას.



ნიადაგის დამუშავება

პარკოსნებისათვის ნიადაგის დამუშავება შემოდგმაზე იწყება, ისევე, როგორც სათესლე პომიდორისა და კიტრისათვის. თუმცა, ამ კულტურებისგან განსხვავებით, პარკოსანი ნათესებისათვის ნიადაგის

ხენის წინ შეგვაქვს სუპერფოსფატი 3-4 ც, კალიუ-
მის მარილი 1,5 ც. და 0,5 ც. სულფატ-ამონიუმი.
გაზაფხულზე მზრალზე დავფარცხოთ, თესვის წინ
კი ჩავატაროთ 12-14 სმ სიღრმეზე კულტივაცია-და-
ფარცხვა.

თესვა

პარკოსნების თესლი კარგად
უნდა გადაირჩეს, შემოწმდეს ალ-
მოცენების უნარი, თესვის წინ
შეინამლოს და დამუშავდეს.
თესვა შეიძლება ჩატარდეს ხე-
ლით - ბუდობრივად, ხოლო
მწკრივად - მანქანების სა-
ბით. მწკრივად თესვის
ბარდის მწკრივებს შო-
ლი უნდა იყოს 30-40
და ცერცვის - 45-50
მცენარეთა შორის
სა და ლობიოსათ-
ცერცვისათვის -

შუალე-
დ რ ო ს
რის მანძი-
სმ, ლობიოს
სმ. მწკრივებში
მანძილი, ბარდა-
ვის - 10-12 სმ-ია,
12-15 სმ.



თესვის ნორმის ცვალებადობა დამოკიდებულია
თესვის წესებისა და თესლის სიმსხოზე. ბარდას

წვრილთესლიან ჯიშებს 1 ჰა-ზე ვთესავთ 120-500
კგ-ს. მსხვილთესლიანებს 175-200 კგ-ს, ლობიოს 70-
90, ხოლო ცერცვის 200-250 კგ-ს, თესვის სიღრმე
3-6 სმ.

მოვლა

თესვის შემდეგ ნიადაგს შეიძლება დასჭირდეს
კბილებიანი ფარცხით ზედაპირული გაფხვიერება.
1-2 თოხნა მიწის შემოყრა, მწკრივების დამუშავება,
მავნებელ-დავადებების წინააღმდეგ ბრძოლა და
მორწყვა. არსებობს პარკოსნების ორი ფორმა
- კუტი და მხვიარა. მხვიარა ფორმები (ბარდა, ლო-
ბიო) საჭიროებენ ჭიგოს, ან სხვა სახის საყრდენებს.
გვალვის დორს, საჭიროა, 2-3-ჯერ მოირწყას და
ჩატარდეს ჯიშური წმენდა. ლობიოს სათესლე ფარ-
თობებზე პირველი წმენდა უნდა ჩატარდეს ყვავილო-
ბისა და პარკების განვითარების ფაზაში. ბარდისა
და ცერცვის ნათესებში კი - ყვავილობისას. პარ-
კოსნების მეორე წმენდა ტარდება ქვედა პარკების
დამწიფებისას. ამ დროს უნდა მოცილდეს ჯიშისა-
გან განსხვავებული ყვავილიანი მცენარეები, ლერო-
ფოთლით განსხვავებულები, დაავადებულები და
სხვა.

მოსავლის აღება

ლობიოს კუტი ჯიშების მოსავალს ვიღებთ ერთ-დროულად, პარკების მასობრივი მომწიფების ფაზაში, ხოლო მხვიერა და ნახევრადმხვიერა ჯიშებს - თანდათანობით, რამდენჯერმე. მომწიფება იწყება ქვემოდან. ხელით მოსავლის აღებისას, ძირებს ვგლევთ ფესვებიანად, რამდენიმე დღით ვფერთ კალოზე ან ბრეზენტზე, სრულ გახმობამდე, შემდეგ კი გამოვბეგვავთ და სალენ მანქანაში გავატარებთ. გამორჩეულ მარცვლებს გავატარებთ სანიავებელ-დამხარისხებელ მანქანაში და შევინახავთ ტომრებში შესაბამისი იარღიყოთ.

ცერემონია

ცერემონი ჩვენში კამის სახელითაა ცნობილი. მათ შორის მსგავსება-განსხვავება დიდია. ცერემონი ერთნლიანი მცენარეა, კამა კი - მრავალწლიანი, ყინვაგამძლეა. იგი ითესება, როგორც ზამთრისპირად, ისე ადრე გაზაფხულზე. მისი თესვა უკეთესია ზამთრისპირზე, საბოსტნე ადგილას. მინერალური სასუქებიდან ვიყენებთ 1 ჰა-ზე 3-3.5 ც სულფატამონიუმს ან ამ დოზის ნახევარ ამონიუმის გვარჯილას. სუპერფოსფატი 4.0 ც და კალიუმის მარილი 1,5-2,0 ცენტნერი.

ცერემონის ვთესავთ ხელით ან მანქანით. მნიურივად, თესვის ნორმა - 6-10 კგ/ჸა, თესვის სილრმე 1-1.5 სმ. გამოხშირვის შემდეგ მცენარეთა შორის ვტოვებთ 10-15 სმ-ს. მოვლითი სამუშაოებიდან საჭიროა ნიადაგის 2-3 ჯერ გაზაფხულზე, განსაზღვრულ მანძილზე 2-ჯერ გამოხშირვა-დანორმება. საჭიროა, ასევე, ჯიშური წმენდა და აპრობაციის ჩატარება.

ცერემონი ჯვარედინმტვერია მცენარეა, ამიტომ მისი ჯიშური თვისებების გაუმჯობესებას, შეიძლება, მეთესლეობის ნაკვეთზე ჯიშთა შორის ბუნებრივი შეჯვარებით მივაღწიოთ. აუცილებელია, შეირჩეს საუკეთესოდ დატოტვილი, დიდ-ბუჩქიანი და მოსავლიანი მცენარეები.

ცერემონი მწიფე თესლს აღმოცენებიდან 90-100 დღის შემდეგ იძლევა. თესლი არათანაბრად მწიფება. თავდაპირველად ვიღებთ მომწიფებულ ძირებს, შემდეგ კი - დანარჩენს. მცენარის გაშრობის შემდეგ, კონებად შეკრული სათესლეები უნდა გამოიბეგვოს. თესლის გამოსავალი .ჰა-ზე 2-6 ცენტნერია.

ქინძი



ქინძი ერთწლიანი მცენარეა. მას იყენებენ მწვანილად და სანელებლად. ქინძი ყინვაგამძლეა, მას შე-

მოდგომაზეც თესენ. მეთესლეობისათვის
ქინძი გაზაფხულზე უნდა
დაითესოს. გვალვების და-
წყებამდე მას მორწყვა არ
სჭირდება.

სათესლე ქინძი
ითესება ნაკელით
განოყიერებულ, ფხ-
ვიერ, სარეველებისაგან
გათავისუფლებულ, მსუბუქ
ნიადაგზე. ნიადაგის დასათე-

სად მომზა- დება ხდება ისევე, როგორც სხვა
ბოსტნეულის შემთხვევაში.

ქინძი ითესება ხელით ან მანქანით, მწკრივად,
25-30 სმ დაშორებით. თესვის ნორმა 5-7 კგ/ჰა-ია,
თესვის სილრმე 1-2 სმ.

მოვლა

ნაკეთის მოსავლელად საჭიროა მწკრივების 2-3-ჯერ გაფხვიერება, სარეველების მოცილება და გამოხშირვა. სათესლე მცენარეები, საბოლოოდ, ერთმანეთისგან 10-15 სმ-ის დაცილებით უნდა დაკტოვოთ.

ქინძის თესლი სხვადასხვა დროს შემოდის. მომ-
წიფებისთანავე მცენარე უნდა ამოვილოთ და ბრეზენ-
ტზე გავშალოთ. იგი შეიძლება გამოიბეგვოს ხელით,
გაილენოს კომბაინით ან სალენი მანქანით. მოსავლის
აღებისა და გაშრობის შემდეგ, იგი უნდა გაიწმინდოს
ხელით ან პეტკუსით.

თავი III

ორცლიანი პოსტეულის მათესლეობის აგრო- ტექნიკა

ორცლიან ბოსტნეულს მიეკუთვნებიან ის მცენარეები, რომლებიც აღმოცენებიდან თესლის მომწიფებამდე საჭიროებენ 2 წელს. პირველ წელს ინგითარებენ საპროდუქტო ორგანოებს (სადედე სათესლეები), ხოლო მეორე წელს-თესლს. ესენია: კომბოსტო, ხახვი, ჭარხალი, სტაფილო, პრასი, ოხრახუში, ნიახური და სხვა.

კომბოსტო

კომბოსტო ჯვარედინ-მტვერია მცენარეა და მიეკუთვნება ჯვაროს-ნების ოჯახს. ბუნებაში მრავალნაირი კომბოსტო არსებობს. ჩვენ შევეხებით თეთრთავიან კომბოსტოს, რომელიც სიცი-ვის ამტანი და ტენის მ ო ყ ვ ა რ უ



ლი კულტურაა. მაღალ ტემპერატურაზე კომბოსტოს თავების დახვევა ყოვნდება, სათესლეები ძნელად ინასკვება და შედეგად მიიღება წვრილი თესლი.

კომბოსტო განვითარებისათვის საკვებ ნივთიერებებს უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს, ვიდრე სხვა ბოსტნეული, ამიტომ მისი მეთესლეობისათვის უნდა შევარჩიოთ მაღალნაყოფიერი, კულტურული ნიადაგი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სარწყავი წყლით. კომბოსტოსათვის კარგი ნინამორბედებია - კარტოფილი, პომიდორი, მრავალნლიანი ბალახები, კიტრი და სხვა. კომბოსტო საკუთარ მინდორს უნდა დაუპრუნდეს 2-3 ნლის შემდეგ.

კომბოსტოსათვის ნიადაგი პომიდვრის მსგავსად მზადდება. სარეველების საწინააღმდეგოდ ნიადაგში უნდა შევიტანოთ მთლიანი-ტოტალური მოქმედების ჰერბიციდი (რაუნდაპი, ნიტროსორგი, კლინი, ნოკ-დაუნი 2-3 ლ/ჰა-ზე ან სხვა), შემდეგ ჩავატაროთ კულტივაცია თათებიანი კულტივატორით 12-14 სმ სიღრმეზე, დავფარცხოთ, მოფანტვით შევიტანოთ აზოტიანი სასუქი და დავჭრათ ბაზო კვლები ჩითო-

ლის დასარგავად. მინერალური სასუქებიდან კომპონტო საჭიროებს 2-3 ც/ჰა ამონიუმის გვარჯილას, 2-3 ცენტნერ სუპერფოსფატს და 1.5-2.0 ცენტნერ კალიუმის მარილს. აზოტიანი სასუქი უმჯობესია გადარგვამდე 3/4 ნილი, ხოლო 1/4 მე-2 ან მესამე თოხნის დროს გამოვიყენოთ.

თესვა და მოვლითი სამუშაოები

ჩითილების გამოსაყვანად, თესლს, უმთავრესად ღია საჩითილე კვლებში ვთესავთ. თესვის დაწყებამდე თესლი უნდა შეინამლოს. თესვა უნდა ჩატარდეს გადარგვამდე 40-50 დღით ადრე, სპეციალურად გამზიადებულ, ორგანული სასუქებით განიყიერებულ საჩითილე კვლებზე. მავნებლების სანინააღმდეგოდ, თესვის წინ შეაკვთ მისატყუებელი მასალა. იგი უნდა ჩაითოხნოს, დამარკირდეს და შემდეგ მოხდეს 8-10 სმ-ზე მწკრივებში თესვა. თესვის შემდეგ ნიადაგი უნდა მიიტკეპნოს და მაშინვე მოირნყას.

მოვლითი სამუშაოებია: მწკრივების გაფხვიერება-გამარგვლა (2-3 ჯერ), ნამლობები მავნებლების წინააღმდეგ (1-2 ჯერ), რწყვები რეგულარულად, ისე, რომ ნიადაგი არ გაშრეს. გამოკვება „სარწყავის“ მეშვეობით 2-3 ფოთლის ფაზაში. ჩითილი გადასარ-

გავად მზადაა მაშინ, როცა მას 5-6 ფოთოლი აქვს განვითარებული. მისი დარგვა იწყება 20-25 მაისი-დან და გრძელდება ორი კვირა. ადგილობრივი ჯიშები - „ბორჯომის იდეალი“, „ლიკანი“ და „გორული ბრაუნმლიგი“ ირგვება 50-60 სმ. კვების არით.

გადარგვა

გაცდენილი ადგილების რემონტი ხდება ის-ევე, როგორც პომიდვრის შემთხვევაში. ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგის დამუშავება 3-4 ჯერ არის საჭირო. პირველი გათოხვნა ან კულტივაცია ტარ-დება გადარგვიდან 10-12 დღის შემდეგ, დანარჩენი კი - საჭიროების მიხედვით.

ვეგეტაციის პერიოდში კომბოსტოს მხოლოდ 10-ჯერ რწყავენ. ხშირი მორწყვა საჭიროა თავების დახ-ვევის დასაწყისი პერიოდიდან. როგორც კი მცენარე დაამთავრებს თავების დახვევას, მორწყვა უნდა შევწყვიტოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავები დაიწყებს დახეთქვას. მორწყვა რეკომენდირებულია კვ-ლებში მიმვებით.

რწყილების, თეთრულების და სხვა სახის მავნებლების სანინააღმდეგოდ აუცილებელია 2-3 ჯერ

წამლობები დანართში მოცემული შესაბამისი ინსექტიციდით.

სათესლეების შეჩევა და ამოღება

სათესლე კომბოსტოები უნდა ავიღოთ ყინვის დაწყებამდე, დაახლობით - ოქტომბერში. თუ ყინვა ადრიანადაა მოსალოდნელი, კომბოსტოს აღება შესაძლებელია ადრე დავიწყოთ. სათესლედ შეირჩევა ჯიშისათვის დამახასიათებელი ტიპობრივი ფორმის მსხვილი, მკვრივი, დაუხეთქავი თავების მქონე საღი მცენარეები. სათესლე მცენარეებს მურკებზე კოურები არ უნდა ჰქონდეს, რადგან აქ სხედან მაღულ ხორთუმას მატლები, რომლებიც შენახვისას გარეთ გამოდიან, რის შედეგადაც, იწყება მურკის ლპობა.

სათესლეები უნდა ამოვიღოთ ფესვებიანად, ბარით ან ბოსტნის ფინლით და შევინახოთ სანახებში. მათი შენახვა ასევე შეიძლება შტაბელად, შუაში ლამის შევსებით (ფესვებზე დაყრით) ან ლარტყებზე, დირექტში ფესვების ჩაკიდებით.

კომბოსტოს სათესლეების ამოღებამდე ვატარებთ აპრობაციას. ასევე ადგენენ სათესლეების გადარჩევის აქტს ცალობის აღნიშვნით. შენახვის წინ

სათესლეების თავზე ვტოვებთ მხოლოდ გარე 3-4 მწვანე ფოთოლს დანარჩენს კი მოვაცილებთ და საქონლის საკვებად გამოვიყენებთ.

ერთი ჰექტარი კომბოსტოს ნარგავიდან მზადდება 1/3 ან 1/2 ჰექტარისათვის საკმარისი სარგავი მასალა. სათესლეები მეტობით უნდა შევინახოთ, რადგან გამოზამთრებისას თავების ნაწილი ფუჭდება. 1 ჰა-ზე სათესლეების დასარგავად საჭიროა 23-25 ათასი მცენარე.



გეორგი ცლის ამორტეინიკა

სათესლე მცენარეები უნდა დავრგოთ რაც შეიძლება ადრე გაზაფხულზე. მისთვის კარგი წინამორბედებია - პარკოსნები, პომიდორი, გოგროვნები და სხვა. ნაკვეთი უნდა იყოს მზრალად მოხნული, შეტანილი უნდა იქნას 40-60 ტ ორგანული სასუქი ან 5-6 ცენტნერი სუბერფოლსფატი, 1.5-2.0 ცენტნერი კალიუმის მარილი და 3-4 ცენტნერი სულფატამონიუმი ან მისი 1/2 ამონიუმის გვარჯილა.

მზრალის სათანადო დამუშავების შემდეგ, კომბ-ოსტოს ვრგავთ მწერივებში 70-80 სმ დაშორებით, მცენარეებს შორის 60-65 სმ დაცილებით.

სათესლეების მომზადება დასარგავად

კომბოსტოს დარგვა ხდება ამინდის შესაბამისად მარტში ან აპრილში. დასარგავად აუცილებელია საუკეთესო სათესლეები. სათესლეებს თავზე ფო-თლების წაჭრით უკეთდებათ კონუსი. დარგვამდე, სათესლეების მურკები უნდა ამოვავლოთ ახალი ნა-კელის წყალხსნარში და შევაფრქვივოთ „ტმტდ“ ან სხვა პრეპარატი.

სათესლე კომბოსტო უნდა დაირგას წინასწარ ამოთხრილ ორმოებში მინის მიტკეპნით. მას თოხ-ით უნდა შემოყენოს მიწა და გაუკეთდეს კოკოლა, რათა მინის ზემოთ დარჩენილი კომბოსტოს თავი მზემ არ დააზიანოს. ნარგავის მორწყვა აუცილებე-ლია დარგვისთანავე. წყალი ხელს უწყობს მის გახ-არებას.

მოვლითი სამუშაოები

კომბოსტოს ნარგავისათვის საჭიროა 2-3-ჯერ ნიადაგის გაფხვიერება, მავნებლებისა და დაავადე-

ბების წინააღმდეგ ბრძოლა (სხვადასხვა ფუნგი-ციდებისა და ინექტიციდების საშუალებით), 2-3 ჯერ მორწყვა, 1-2 ჯერ ლეროს აკვრა და სხვა.

კომბოსტოს თესლი სხვადასხვა დროს მწიფდება, შესაბამისად, მისი აღება აუცილებელია რამდენ-ჯერმე, მომწიფებისთანავე. წინააღმდეგ შემთხ-ვევაში, თესლი ჩაიბნევა და დაიკარგება. თესლის აღება უნდა დავიწყოთ მაშინ, როცა საყვავილე დე-როზე ჭოტები (პარკები) მასობრივად დაყვავილდება. თავდაპირველად ვჭრით შემოსულ ლეროებს და ასე თანდათანობით დანარჩენს. მოჭრილი ლეროები უნდა კარგად შევკრათ და ფარდულში ჩამოვკიდოთ ან გავმალოთ გასაშრობად კალოზე.



კომბოსტოს თესლს ვი-ლებთ მაშინ, როცა მასო-ბრივად დაიწყება ტოტების შემოსვლა. იგი უნდა გა-ვაშროთ, გამოვბეგვოთ, დავახარისხოთ და საერთო წესით შევინახოთ. თეს-ლის მოსავალი ჰექტარზე 2.5-6.0 ცენტნერია.

ძირხვენები

ძირხვენები ხვადასხვა იჯახის მცენარეებია, თუმცა მათ მეთესლეობის საერთო აგროტექნიკური წესი აქვთ და შეგვიძლია ერთად განვიხილოთ. ესენია: ჭარხალი, სტაფილო, ოხრახუში, ბოლოკი. ასევე, ფოთლოვნები- ნიახური და თალგამი (ყუნწიან-ფოთლოვანი).

ძირხვენა მცენარეებისათვის აუცილებელია ნაყოფიერი და ფხვიერი ნიადაგი. მათთვის კარგი წინამორბედია კიტრი, პომიდორი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი და კომბოსტო. ძირხვენები საჭიროებენ ნიადაგის ღრმად დამუშავებას. ძირხვენა მცენარეების ნათესებში უნდა შევიტანოთ 40-50 ტ/ჰა. გადამწვარი ნაკელი. თუ ნაკვეთი, გასულ წელს, ორგანული სასუქით იყო განოყიერებული, ამჯერად მას დავუმატებთ მინერალურ სასუქებს შემდეგი შემადგენლობით: 4-5 ცენტინერი სუპერფოსფატი, 1.5-2.0 ცენტინერი კალიუმის მარილი და 1.5-2.0 ცენტინერი ამონიუმის გვარჯილა.

ძირხვენებისთვის ნიადაგი მზადდება შემოდგომაზე და გაზაფხულზე ისევე, როგორც პომიდვრის შემთხვევაში. ძირხვენები კარგად ვითარდება

ნეიტრალურ ან ნაკლებად მჟავე რეაქციის მქონე ნიადაგში. მჟავე და ტუტე ნიადაგზე ძირხვენების მოსავალი დაბალია.

მაღლხარისხოვანი სათესლე მასალის მისაღებად მკაცრად უნდა დავიცვათ თესვის ვადები. ზოგიერთი ძირხვენას თესვა შესაძლებელია სანაწვერალო კულტურების აღების შემდეგაც. ამ პერიოდში მიღებული სათესლები კარგი შენახვის უნარიანობით გამოირჩევიან. ნიადაგი უნდა მოვრწყათ თესვამდე 5-7 დღით ადრე. როგორც კი მორნბულ ნიადაგს ზედაპირი შეუშრება, უნდა დავფარცხოთ და ვთესოთ დამბალი ან სხვა ხერხებით დამუშავებული თესლი.

იქ, სადაც ზაფხულში გვალვები იცის, გაზაფხული და ზაფხულის ნახევარი კი ჭარბი ნალექებით ხასიათდება, სათესლე სტაფილო და ჭარხალი უნდა ვთესოთ თებერვალ-მარტში. მთიან ადგილებში კი ჭარხალი, სტაფილო, თალგამი, ბოლოკი, ოხრახუში, ნიახური და სხვა ძირხვენები უნდა დაითესოს მაისში.

ძირხვენების თესლი, აღმოცენების მიხედვით, სხვადასხვანაირია: დათესვიდან ყველაზე მაღლე ამოდის ბოლოკი, თავის ბოლოკი, თალგამი (3-7 დღე).

ჭარხალი აღმოცენების მიხედვით საშუალო ადგილს იკავებს (5-12 დღე), შედარებით გვიან აღმოცენდებიან: სტაფილო, ნიახური და ოხრახუში (15-25 დღე). ხშირ შემთხვევაში აღმოცენების პროცესზე უარყოფითად მოქმედებს გარემო პირობების არამდგრადი მდგომარეობაც. დიდ ფართობზე ძირხვენებს მწკრივად, მანქანებით თესენ, ხოლო მოკლე კონტურიან საკარმიდამო ნაკვეთებზე - ხელით. მშრალ ნიადაგში თესვისას, ნათესი რომ მალე აღმოცენდეს, იგი საგორავებით უნდა მოიტკეპნოს.

თესვას სხვადასხვა სიღრმეზე ვახდენთ. მაგალითად: სტაფილო, ოხრახუში, ბოლოკი - ითესება 2-3 სმ სიღრმეზე, ჭარხალი - 4-5 სმ-ზე. თესვის ნორმა იხილეთ პირველ თავში.

ძირხვენების აღმონაცენი თავიდან ძალიან ნელა იზრდება, ამიტომ მოსალოდნელია სარეველების წამოსწრება. მათ წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ყინვების მიმართ შედარებით გამძლეობით გამოირჩევიან: სტაფილო, ოხრახუში, ნიახური და ძირ-

თეთრა. რაც შეეხება ჭარხალს, მისი აღმონაცენი -2-3⁰ C ყინვისას შეიძლება დაიღუპოს.

პირველ ნელს, სათესლე ძირხვენებისთვის საჭიროა 3-4 ჯერ ნიადაგის გაფხვიერება, გამოხშირვა, გამოკვება, მორწყვა, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა და ჯიშური წმენდა.

ძირხვენების სათესლებიდან პირველად ვიღებთ იმ კულტურებს, რომლებსაც ყინვების მიმართ ნაკლები გამძლეობა აქვთ. ასეთებია ჭარხალი და სტაფილო. აუცილებელია სათესლე ძირხვენების დაცვა ყინვებისაგან. შენახვის დროს ძირხვენები უნდა ამოვილოთ და ფრთხილად გადავიტანოთ, რომ არ დაიბეჭუოს. ამბობული ძირხვენები ზედმეტი მიწისაგან უნდა გაიწმინდოს ხელით ან დანის ყუით, თუ მიწა ბევრი არ მოსდევს, განმენდა აუცილებელი არ არის.

სათესლეებად ვარჩევთ ჯიშისათვის დამახასიათებელ, ტიპობრივი ფორმის, ფერისა და სიდიდის მქონე ძირხვენებს. არატიპობრივი, გახეთქილი და დაავადებული ძირხვენები შეგვიძლია გამოვიყენოთ საკვებად. შერჩეულ ძირხვენებს ფოთლები ისე უნდა წავაჭრათ, რომ თავზევით დარჩეს 1-2 სმ სიგრძის ყუნ-

წი. სათესლედ უნდა შეირჩეს ზომით საშუალო და საშუალოზე დიდი ძირხვენები. სათესლეების ზომა უნდა შევარჩიოთ ბოსტნეულის სახეობის მიხედვით: სტაფილო - 2.5-3.0 სმ დიამეტრის და 120-130 გრ წონის, ჭარხალი - 6-10 სმ, 250-300 გრ (ბორდო) და ა.შ. მსხვილი ზომის ნაყოფს სათესლეებად არ ინახავენ. გაზაფხულზე, ძირხვენების შერჩევა-გადარჩევას ვანარმოებთ განმეორებით და ვადგენთ სათანადო აქტს.

ჩვენს პირობებში, მთიან ზონებში, სტაფილო და ჭარხალი შემოდგომაზე უნდა ამოვილოთ და გაზაფხულზე დავრგათ. თუ ძირხვენები სველი ამოდის, საჭიროა შენახვამდე მისი განიავება და გაშრობა. ერთი .ჰექტარი სათესლე ჭარხლის ნათესს გადარჩევის შემდეგ შეუძლია სარგავით უზრუნველყოს -1.5-2.0 ჰა, სტაფილოს - 5.0 ჰა და ა.შ.

მორე ნლის აგროტექნიკა

სათესლე ძირხვენებს ფესვები შორს არ გააქვთ, ამიტომ სათესლე ნიადაგის განოყიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მათთვის კარგი წინამორბედებია კარტოფილი, ნაბალახარი. კიტრი, კომბოსტო და ა.შ.

სათესლე ნაკვეთზე სასუქები ძირითადად შეაქვთ შემოდგომაზე მზრალად ხვნის წინ. გადამწვარი ნაკელი 50-60 ტ/ჰა, მისი უქონლობისას მიზანშეწონილია, შევიტანოთ 2-3 ცენტნერი სუპერფოსფატი და 0.7-1.0 ცენტნერი კალიუმის მარილი. გაზაფხულზე, სათესლეების გადარგვა-მდე, კულტივაციის წინ კი შევიტანოთ 1.5 ცენტნერი სულფატამონიუმი.

დარგვის წინ სათესლე მასალა კიდევ ერთხელ უნდა გადაირჩეს და მოცილდეს დაავადებული დამჭკნარი ძირხვენები. თუ ძირხვენის ყელი ოდნავ მორბილებულია და ლპობას განიცდის, იგი უვარესია. ასეთივე სტაფილოს ძირხვენა უნდა გადავჭრათ ბოლოდან 1/4 ნაწილზე, თუ მას მცირე ზომის გულ-გულა და ჯიშისათვის დამახასიათებელი შეფერილობა ექნება, დავრგავთ.

სათესლეების დარგვა და მოვლა

ძირხვენას სათესლეების დასარგავად ნიადაგი გაზაფხულზე უნდა მომზადდეს. დარგვა უმჯობესია მწკრივად, რათა შემდგომში მანქანა-იარაღებით



(მცირე გაბარიტიანი) დამუშავება იყოს შესაძლებელი. სტაფილო და ჭარხალი უნდა დაირგას 60-70 სმ მწკრივებში. მწკრივში მცენარეთა შორის მანძილი - 40-60 სმ. ძირხვენა ბუდნებში ისე უნდა დავრგოთ, რომ მისი ზედა ნაწილი მიწის ჰორიზონტს გაუსწორდეს და მიწა მიეყაროს კოკოლისებრ. სათესლების დიდ ფართობზე დარგვისას, უნდა გავაკეთოთ ბაზო-კვლები კულტივატორ მიწის შემომყრელით. კვლების ძირში გარკვეულ მანძილზე ჩავაწყობთ სათესლებს და მივაყრით მიწას ხელით (თოხით).

დარგვის დროს ნიადაგი ძლიერ იტკეპნება და ტენის აორთქლების საუკეთესო პირობები იქმნება. ამიტომ, საჭიროა, დარგვის შემდგომ ნიადაგის ჯვარედინად დაფარცხვა ისე, რომ ძირხვენები არ ამოიყაროს.

მოვლითი სამუაშოებისას ნიადაგის მწკრივების 2-3 ჯერ უნდა გაფხვიერდეს კულტივატორით ან ხელით-თოხის მეშვეობით. საჭიროა სათესლების გამოკვება უიშით (ზემოთ აღნერილი სქემით) ან მინერალური სასუქებით. იმისათვის, რომ მივიღოთ ხარისხიანი თესლი, რწყვები უნდა ჩატარდეს 3-4 ჯერ. მავნებელ-დაავადებების გამოჩენისას საჭიროა

2-3 წამლობა შესაბამისი შხამ-ქიმიკატებით (იხილეთ დანართი 2).

თესლის ამოღება

ძირხვენა მცენარეების თესლები ხვადასხვა დროს მწიფდება. ჭარხლის თესლის შემოსვლა იწყება ქვედა ღეროებიდან და მისდევს ზემოთ, ამიტომ თესლები პირველად ქვემოთ მწიფდება. იმისათვის, რომ თესლი არ ჩაიბნეს, აღება საჭიროა დავიწყოთ შერჩევით ქვემოდან ზემოთ. პირველად შევაცლით იმ ღეროებს, რომლის თესლი უკვე გამუქებულია, ფოთოლი კი - გაყვითლებული. მოჭრილ სათესლე ღეროებს გავშლით საშრობზე. გაშრობის შემდეგ ხდება თესლის გამოცლა-გამობეგვა.

სათესლე სტაფილოს ქოლგებში თესლი პირველად ნაპირებზე მწიფდება, შემდეგ კი შუაგულისაკენ. მისი ცალკე აღება შეუძლებელია, ამიტომ ქოლგა მიაღწევს თუ არა მიხაესფერს, უნდა ავიღოთ. ასევე ხდება ნიახურის და ოხრახუშის თესლის აღება.

გამოცალკეავებული თესლები უნდა განიავდეს და ხელით დახარისხდეს. დიდი რაოდენობის შემთხვევაში, თესლი უნდა გაიწმინდოს მანქანით.

თესლის საშუალო გამოსავალი ჭარხლის შემთხვევაში 1 ჰა-ზე 8-10 ცენტნერს უდრის, სტაფილის და ოხრახუშის - 6-8 ც; ბოლოკის და თაღვამის ნა-თესებში ეს მაჩვენებელი 10-12 ცენტნერის ტოლია.



სახვი

ხახვი ერთ ლებნიანი, მრავალწლიანი მცენარეა. კულტურული მას ვამრავლებთ, როგორც ორნალიანს.

იგი ჯვა-რედინმტვერიაა, ამიტომ მისი მეთესლეობა საიზოლაციო მანძილის დაცვით უნდა მოხდეს. ხახვს უმრავლესად ვამრავლებთ თესლით. ზოგან კი - კვიჭიჭების დარგვით. თესლი შავია, სამწახნაგოვანი, დანაოჭებული და მაგარკანიანი, ამიტომ იგი გვიან ღივდება. ხახვის თესლი კარგ პირობებში 14-16 დღეში ამოდის. ხახვი სიცივის ამტანი მცენარეა და კარგად იტანს $-8-10^{\circ}$ C ყინვას. აღმონაცენი პირველად ნელა იზრდება, შემდეგ ზრდა სწრაფად მიდის, ფოჩების ზრდა ჩერდება და იწყება ბოლქვების დამსხვილება.

ხახვს უყვარს მსუბუქი, ნოყიერი, სარწყავი ნიადაგები, ამიტომ, ის უნდა დავთესოთ წინა წელს, კარგად გაპატივებულ ნიადაგზე ან შემოდგომაზე მზრალად ხვნის წინ. ნიადაგში უნდა შევიტანოთ 50-60ტ საქონლის გადამწვარი ნაკელი. მინერალური სასუქებიდან კი - ამონიუმის გვარჯილა ჰექტარზე 2-2.5 ცენტნერი, სუპერფოსფატი 3-4 ც და კალიუმის მარილი 1.5-2.0 ც. აზოტიანი სასუქების 3/4 უნდა შევიტანოთ თესვის წინ, ხოლო 1/4 - მე-2 მე-3 თოხნა-გაფხვიერებისას.

ადრე გაზაფხულზე, მზრალზე, აგროტექნიკით გათვალისწინებული სასუქების შეტანისთანავე, უნდა ჩავატაროთ 12-14 სმ სიღრმეზე კულტივაცია-დაფარცხვა. ჩვენს პირობებში, ხახვი უნდა დაითესოს ამინდის შესაბამისად, მარტის მეორე-მესამე ან აპრილის პირველ-მეორე დეკადაში. ხახვს, უმთავრესად, ვთესავთ მწკრივად, ხელით ან მანქანით. ხელით თესვისას, გავაკეთოთ კაწრები მარკერის საშუალებით, ჩავთესავთ ხახვის თესლს და ფოცხის ყუით მინას მივატყებნით.

ხახვის თესლი დათესვამდე უნდა დამუშავდეს კიტრის თესლის მსგავსად. ჩათესვის სიღრმე უნდა

იყოს 1.5-2.0 სმ. თესვის ნორმა პუნქტურულად თესვისას - 4-6 კგ მწკრივში, მექანიკური და ხელით თესვისას - 3-4 კგ/ჰა-ზე.

სარეველების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი ჰერბიციდები, დანართის მიხედვით, ორ ვადაში. ერთი უნდა შევიტანოთ თესვის შემდგომ, ხოლო მეორე - აღმოცენებიდან 2-4 ფოთლის ფაზაში.

თუ ხახვის თესვისას ნიადაგი გამომშრალია, ის თესვის შემდგომ აუცილებლად უნდა მოირწყას, სწრაფი და თანაბარი აღმონაცენის მიღების მიზნით. ხახვის აღმონაცენი განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს, ნიადაგის ხშირი გაფხვიერებით და სარეველების მოცილებით. აღმონაცენის გამოხშირვა-დანორმებაში ეს ღონისძიებები 2-3-ჯერ უნდა განმეორდეს. მორწყვა უნდა ჩატარდეს საჭიროების მიხედვით 4-6-ჯერ, ხოლო მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგოდ უნდა შესხუდეს შესაბამისი ქიმიკატები (2-3-ჯერ) დანართში მოცემული სიხშირის მიხედვით.

ხახვის მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ვეგეტაციის ჰერიოდში გამოკვებების ჩატარება. პირველი გამოკვება უნდა ჩავა-

ტაროთ საქონლის ნაკელის უიუით (1 ნილი უიუა 6-8 ვედრო წყალში გაზავებული) ისე, როგორც სხვა კულტურების შემთხვევაში – 5-6 ფოთლის ფაზაში, ხოლო მეორე – მინერალური სასუქებით. ამისათვის 1 ჰა-ზე შეგვაქვს 0,4-0,5 ცენტნერი ამონიუმის გვარჯილა და 0,3-0,4 ცენტნერი კალიუმის მარილი.

ხახვი ბევრ წყალს მოითხოვს ბოლქვების ჩასახვის დაწყებიდან მომწიფებამდე, ამიტომ ამ ფაზაში იგი რეგულარულად უნდა მოვრწყათ იმისათვის, რომ მაღალხარისხოვანი მომწიფებული სათესლე მასალა მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხახვი შესანახად უვარგისი იქნება. მოსავლის აღებამდე ერთი თვით ადრე მორწყვა უნდა შევაჩეროთ.

მოსავლის აღება

ხახვის მოსავლის აღებას ვიწყებთ აპრობაციის ჩატარების შემდგომ, მაშინ, როდესაც ცრუ დერო მთლიანად განვრილდება და ფოჩებიანად გახმება, ხოლო ბოლქვები მიიღებენ ჯიშისათვის დამახასიათებელ ფერს. ეს დაახლოებით აგვისტოში ხდება (შეიძლება სექტემბერშიც). ხახვის მოსავლს ვიღებთ ხელით. თხლად გაფენილ ხახვს 2-3 საათით ვტოვებთ გასაშრობად, შემდეგ ბოლქვებს ვასუფთავებთ მი-

წისა და ზედმეტი მფარავი ქერქლებისაგან, ვაჭრით ფესვებს და ფოჩებს. ფოჩი უნდა წავაჭრათ ბოლქვის ყელიდან 3-4 სმ ზემოთ, ფესვები კი ძირიდან 0,5-1,0 სმ დაცილებით. სათესლედ ვარჩევთ ტიპობრივი ფორმისა და ფერის მსხვილ ბოლქვებს და ვშლით სხვენზე ან ფარდულებში გასაშრობად დამატებითი დროით. გამოშრობის შემდეგ ვინახავთ საწყობში სა-თანადო წესების დაცვით.

მეორე ნლის აგროტექნიკა

ხახვის სათესლების დასარგავად უნდა შე-ვარჩიოთ ქარებისაგან კარგად დაცული, ნოუიერი, ფხვიერი, წყლით უზრუნველყოფილი ნიადაგი. ნიადაგის მომზადება იწყება შემოდგომაზე და გრძელდება მის დარგვამდე, ზემოაღნერილი სქე-მების მიხედვით. დარგვის წინ უნდა ჩატარდეს 10-12 სმ სიღრმეზე მზრალის კულტივაცია. ხახ-ვის სათესლების დასარგავად, გამწევი ძალით ან მინი ტრაქტორით უნდა გავაკეთოთ 10-12 სმ სიღრმის ბაზო-კვლები.

დარგვის წინ, კიდევ ერთხელ, უნდა გადა-ვარჩიოთ დამპალი და სხვა მხრივ უვარგისი ბოლქვები, რომლებსაც სათესლედ არ გამოვიყ-

ენებთ. ამ დროს განსაკუთრებით საშიშია ბოლქ-ვის ყელის სიდამპლით დაავადებული მცენარე. თუ ერთბუდიანი ჯიშური თვისებების მქონე ხახვი შეგვხვდება 2-3 ბუდიან სათესლებში, ის აუცილებლად უნდა მოვაცილოთ და გამოვიყ-ენოთ საკვებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯიში თავის სახეს დაკარგავს.

ხახვის ბოლქვები ყინვების დიდი ამტანია, ამიტომ, დარგვა რაც შეიძლება ადრე უნდა დავიწყოთ, რათა გვალვების დაწყებამდე ხახვის სწრაფ განვითარე-ბას მივაღწიოთ. ხახვი უნდა დავრგოთ მწკრივად (60 X 20 სმ) ან ბუდნებში (60 X 60 სმ) 2-4 ბოლქვის ერთმანეთისაგან 10-10 სმ დაცილებით. 1 ჰა-ზე ირ-გვება 120-150 ათასი ბოლქვი. ხახვი ირგვება ხელით ან მანქანით. ბაზო-კვლებში ან ბუდნებში ჩარგულ ბოლქვებს ზემოდან 5-6 სმ სიმაღლეზე ვაყრით მი-ნას.

ვეგეტაციის განმავლობაში ხახვის სათესლებს 2-3-ჯერ ღრმად თოხნიან ან უტარებენ კულტივა-ციას. ამისათვის საჭიროა, 1-2-ჯერ მიწის შემოყრა და გამოკვება, ზემოთ მოტანილი სქემების მიხედ-ვით. მაგნებელ-დაავადებების, განსაკუთრებით

ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლა; დაახლოებით 4-6-ჯერ მორწყვა ამინდის შესაბამისად. ყვავილობის და თესლის ფორმირების ფაზაში აუცილებელია ხახვის სათესლების რწყვა. პირველი გამოკვება უნდა ჩატარდეს ფოჩების მასობრივი ამოსვლისას. მეორე - პირველი გამოკვებიდან 20-25 დღის შემდეგ, ზემოთ მოცემული სქემის მიხედვით.

ხახვის სათესლე ღეროები ადვილად იმტვრევა, მით უფრო ქარიან ადგილებში, რაც ხელს უშლის თესლის მომნიფებას. ამიტომ სასურველია სათეს ნაკვეთად ქარისგან დაცული ადგილი შევარჩიოთ.

ხახვი ერთდროულად არ ყვავის, ამიტომ თესლი სხვადასხვა დროს მნიშვნელია. თესლის მომნიფება ივლისის მესამე დეკადიდან იწყება და გრძელდება აგვისტოს პირველ დეკადამდე. ხახვის თესლი რომ არ ჩაიბნეს, მისი აღება შერჩევით უნდა დავიწყოთ. პირველად უნდა ავიღოთ გაყვითლებული ღეროს და გამსკდარი კოლოფის მქონე თესლები (თესლები უნდა იყოს შავი შეფერილობის). შემდეგ კი მომნიფების მიხედვით ყველა თესლს ერთიანად ავიღებთ. სათესლე კოლოფს ვჭრით დანით ან ვგლეჯთ ხელით, ვყრით ტომრებში ან ვედროებში,

გადაგვაქვს საშრობებში, ვფენთ 15-20 სმ სისქეზე და ვაშრობთ თითქმის ყოველდღიური არევით. კარგად გამოშრობისა და გახმობის შემდეგ, სათესლე კოლოფები უნდა გამოიბეგვოს, განიავდეს და გაირეცხოს წყალში ჩაძირვით 5-6-ჯერ. წყლის ზემოთ ამოტივტივებული ამშეული და კილიანი თესლი უნდა მოიხადოს და გადაიყაროს. წყალი კარგად გადაიწუროს, თესლი კი თხლად მოთავსდეს ტილოზე ან ცხრილზე, რამდენიმე საათით მზეზე გასაშრობად.

ხახვის თესლის საშუალო გამოსავალია 3,5-4,0 ცენტნერი ჰექტარზე. კარგი მოვლის შედეგად, შესაძლებელია 3-5 კგ ბოლქვიდან მივიღოთ 1 კგ თესლი.

ნიორი

ნიორს, უმთავრესად, ვეგეტატიური ნანილებით (ცბილებით) ვამრავლებთ. იგი ერთნლიანი მცენარეა. გამოიჩევა ყინვების კარ-



გი გამძლეობით. სარგავი მასალის მისაღებად მას, უმეტესად, შემოდგომაზე ვრგავთ, თუმცა შეიძლება ადრე გაზაფხულზეც დაირგას, განსაკუთრებით მთიან ზონაში. შემოდგომაზე ნარგავი უფრო ხარისხიანი და უხვმოსავლიანია, ამიტომაც ფერმერები ამ სეზონს ანიჭებენ უპირატესობას ანიჭებენ უპირატესობას.

ნიორს რგავენ ნაკელით კარგად განოყიერდულ ნიადაგებზე. ნაკელის უქონლობისას სანივრე ფართობში შეაქვთ 1,5 ცენტნერი ამონიუმის გვარჯილა, 1-1,5 ცენტნერი კალიუმის მარილი და 2-3 ცენტნერი სუპერფოსფატი. შემოდგომაზე, აღნიშნული სასუქებიდან შეგვაქვს ფოსფორი და კალიუმის მთლიანი დოზა, ხოლო აზოტის 50%.


გაზაფხულზე, პირველი თოხნის წინ კი - აზოტის დარჩენილი 50%.

შემოდგომაზე, ნიორი ყინვების დაწყებამდე უნდა დავრგათ, რათა მოასწროს 1-2 ფოჩის განვითარება. თუ ნივრის დარგვა შემოდგომაზე ვერ მოესწრო, ის შეიძლება დავრგოთ ადრეულ გაზაფხულზე, მინდვრად მუშაობის შესაძლე-

ბლობისთანავე – არაუგვიანეს მარტისა, რათა მოსავლის მაქსიმუმი რაოდენობის აღება შევძლოთ. საქართველოს პირობებში, შემოდგომაზე დარგული ნიორი გვალვების დაწყებამდე ასწრებს ბოლქვების დასრულებას.

დასარგავად, უმთავრესად, ვიყენებთ მსხვილსა და საღი ბოლქების გარეთა კბილებს. არ გამოიყენება ძირაკდაზიანებული, დაავადებული და შიგა კბილები ე.წ. ანაგული. ვრგავთ მწკრივად, მწკრივთა-შორის 40-50 სმ-ს მანძილზე, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის 6-8 სმ-ის მანძილზე. რგვის ნორმა კბილების სიმსხოს მიხედვით მერყობს 1000-დან 2200 კგ-მდე. შენამვლის შემდეგ უნდა დაირგოს 4-5 სმ სიღრმეზე და თოხით მიეყაროს მიწა.

ადრე გაზაფხულზე, ნივრის ნათესის მოსავლელად საჭიროა ხახვის ბუზების წინააღმდეგ შესაბამისი ქიმიკატებით 2-3-ჯერ ბრძოლა,. ამასთან, საჭიროა ნიადაგის გაფხვიერება



და სარეველების წინააღმდეგ მექანიკური საშუალებებით ბრძოლა (2-3-ჯერ). ნათესს შეიძლება დასჭირდეს ასევე 1-2-ჯერ მორწყვა.

ნიორი შემოდის ივნის-ივლისში. ვიღებთ ხელით, მშრალ ამინდში. აღებას ვიწყებთ მაშინ, როცა ფოთლები შეხმება და შერბილებული, ცრუ ღერო ნიადაგისკენ დაიხრება. ამოღებულ ნიორს ვაშრობთ ადგილზე, თხელ ფენად გაშლილს. შემდეგ ვაჭრით

ბოლქვის ყელიდან ღეროს 3-4 სმ-ზე და ვინახავთ გაშლილს დამატებით გასაშრობად. ამოღებული ნიორი შეიძლება გაღებად დავწნათ. ნიორი უნდა შევინახოთ ჩარდახში, ხარისხებზე ან სხვენზე.

თუ ნიორი შემოდგომაზეა დარგული, მისი სა-ჰექტრო მოსავალია 10-15 ტ/ჰა-ზე. **თავი მერთეა**

დელიკატესი პოსტვეული

სალათები

საქართველოში ვეღვებით სალათების სამსახურის მიერ დაგენერირებულ მოსავალის შემთხვევაში:

1. ფოთლოვანი

სავეგეტაციო პერიოდი 30-40 დღე.

2. თავიანი

სავეგეტაციო პერიოდი 30-40 დღე

3. რომენის სალათა

სავეგეტაციო პერიოდი 75-100 დღე.



სალათა სიცოცხლის პირველსავე წელს იკითარებს საყვავილე ღეროს, რომელიც ზედა ნაწილში ძლიერ იტოტება და ყვავილობს. მისი ფოთლები შეფერვით ყვითელი ან მოყვითალო მწვანეა. თესლი ბრტყელია. მისგან ანარმობენ მდოგვსაც, რომელიც ფართოდ გამოიყენება კულინარიაში.

1. ფოთლოვან სალათას მიეკუთვნება ჯიშები, რომლებსაც ახასიათებთ მთლიანი ან განკვეთი ლი ფოთლები. ისინი შეკრებილია როზეტში და არასოდეს იხვევენ თავს. არის ფოთლებხუჭუჭა ფორმებიც.
2. თავიანი სალათა მოიცავს ჯიშებს, რომელთა ფოთლებიც როზეტში ხისტად წამოწეულია და ფორმით უკუ კვერცხისებური, ოვალური, მომ-რგვალო ან თირკმლისებურია. საერთოდ, სალა-თა მომრგვალო ტიპის თავს იკეთებს, რომელიც მისი ჯიშური თავისებურებიდან გამომდინარე ფაშარი ან მკვრივია.
3. სალათი რომენი დიდი ზომის, ვერტიკალურ როზეტად გაწყობილ ფოთლებს იკითარებს. ცალკეული ფოთლები წაგრძელებული და უხე-

შია, როზეტის ცენტრში წარმოიქმნება დიდი, ოვალური ფორმის ფაშარი თავი.

სალათის აგროტექნიკა

სალათისთვის ნიადაგის დამუშავების ტექნიკა დანარჩენი ბოსტნეული კულტურების მსგავსია. მას უმეტესად მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში თესენ, განმეორებით კი - ზაფხულში. სალათი შეიძლება პირდაპირ დაითესოს ლია გრუნტში ან დაირგას ჩითილით. იგი ითესება სათესი მანქანებით, მწკრიულად და ზოლებრივად, მწკრივთა შორის 35 სმ-ს დაშორებით. ასევე, სამ ზოლად ან ორმწერივიან ზოლებად 20-50 სმ-ის ძალაშორებით. თავიანი ჯიშების კვების არე შედარებით დიდია და იზრდება 10 სმ-ით. ჩათესვის სილრმე 1,5 სმ-ია თესვის ნორმა ფოთლოვანი ჯიშებისათვის 4-5 კგ/ჰა, ხოლო თა-ვიანი ჯიშებისათვის 2-3 კგ/ჰა-ზე. დათესვიდან 10-15 დღის შემდეგ ტარდება მწკრივთაშორისების პირველი გამოთხოვნა, მწკრივში მცენარეთა პირველი გამოხშირვითა და ზოლებს შორის კულტივაციით. მცენარეებს შორის მანძილი 3-4 სმ-ია.

მეორე გამოხშირვა-გაფხვიერება უნდა ჩატარდეს 25-30 დღის შემდეგ. მცენარეთა შორის 8-12 სმ-ს დაშორე-

ბით. აამ პერიოდში მცენარეებს უკვე განვითარებული აქვთ 4-5 ფოთოლი. გამოხშირული მცენარეები შეიძლება გამოვიყენოთ საკვებად. მორწყვები ტარდება ნიადაგის ტენიანობის შესაბამისად.

თავიან სალათას იღებენ მაშინ, როცა თავები მიაღწევენ ჯიშის დამახასიათებელ შეფერვას და კონსისტენციას.

ბროკოლი, ანუ სატაცური-საბრი კომპოსტო

ბროკოლი ანუ სატაცურისებრი კომბოსტო, ივი- თარებს თავს. იგი ფხვიერია და

იშლება ცალკე ყლორტებად, რაც ძლიერ წააგავს სატაცურის ყლორტებს, იმ განსხვავებით, რომ მათი ბოლოები ყვავილის მსგავსადაა განვითარებული.

ბროკოლი ცნობილია, როგორც სამკურნალო და პროფილაქტიკური მცენარე. მის შემადგენლობაში არსებული ფარმაცევტიულად აქტიური ნივთიერებები კიბოს სანინაალდეგო თვისებებითა და რადიო პრო-

ტექტულობით გამოირჩევა. ვიტამინების, ცილებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების შემცველობით იგი უსწრებს ყვავილოვან კომბოსტოს.

ბროკოლის პროდუქტიული ორგანოა თავი, რო- მელიც ძირითადად სხვადასხვა შეფერილობის ყვავილების ბუტონებისა და ღეროებისგან შედგება.

ბროკოლს ახასიათებს გრძელი სავეგეტაციო პერი- ოდი. იგი უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე ყვავილოვანი კომბოსტო. მისი აგროტექნიკა ყვავილოვანი კომბოს- ტოს აგროტექნიკის მსგავსია. თუ ჩითილებს იგნის- სა და ივლისში დავრგავთ, იგი ზამთრის პერიოდში შემოვა, თბილ ზონებში კი - ადრე გაზაფხულზე.

ყვავილოვანი კომპოსტო

ყვავილოვანი კომბოსტო კვებითი ლირებულებითა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცვე- ლობით, ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მცენარეა კომბოსტოსნაირ მცენარეებს შორის.

საქართველოს სანარმოო ზონებში, ყვავილოვანი კომბოსტო მოჰყავთ, როგორც გაზაფხულ-ზაფხუ-

ლის, ზაფხულ-შემოდგომისა და შემოდგომა ზა-
მთრის კულტურა.

ყვავილოვანი კომბოსტოს თესლი თეთრთავიანი
კომბოსტოს მსგავსია. მისგან განსხვავდება იმით,
რომ შედარებით წვრილია. დათესვიდან მცენარის
აღმოცენებამდე 4-6 დღეა საჭირო. კომბოსტოს თა-
ვის ინტენსიური ფორმირების დაწყებამდე კი - 80-90
დღე. თავის ფორმირება 10-16 დღე გრძელდება, თა-
ვის სრული ფორმირებიდან ყვავილობამდე კი 25-40
დღეა საჭირო.

ყვავილოვანი კომბოსტო ერთწლიანი კულტურაა.
თავები დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შე-
მდეგ იყოფა-ცალკევდება, ივითარებს ე.წ. „სტრე-
ლკებს”, მწვანდება და მათზე ვთარდება ყვავი-
ლები, რომლებიც დაყვავილების შემდეგ ჭოტაკებს
იკეთებენ. ყვავილოვანი კომბოსტო სიცივის ამტანი
მცენარეა. ღივისა და ჩითილის სტადიაში იგი გან-
საკუთრებით ყინვაგამძლეა. მისთვის ოპტიმალური
ტემპერატურაა $13+7^{\circ}$. ყინვა (-2-3°C) უარყოფი-
თად მოქმედებს კომბოსტოზე მისი თავის ფორმი-
რებისა და ზრდის პროცესში. იგი აზიანებს მას და
ხელს უწყობს ლპობის პროცესის განვითარებას.

უკვე მოზრდილ მცენარეებზე
ყინვა უარყოფითად აღარ
მოქმედებს. კომბოსტოს
თავის განვითარება, ასე-
ვე, ფერხდება მაღალი
ტემპერატურის პირობებ-
ში. ძლიერი გვალვის
დროს მოსავალი არ
მიიღება. ეს კულ-
ტურა საჭიროებს
ხშირ და ზომიერ
რწყვას. მისი მორწყვა
სასურველია ნიადაგის ტენის დასვლი- სას
ზღვრული წყალტევადობის 65-75 %-მდე.



ყვავილოვანი კომბოსტო მოჰყავთ ჩითილებით,
რომელიც მუდმივ ადგილზე დასარგავად 30-35 დღე-
შია მზად. ყვავილოვანი კომბოსტო ცუდად იტანს
გადარგვას. ჩითილი უნდა გადაირგას 3-4 ფოთლის
ფაზაში. საადრეო მოსავლის მისაღებად იგი უნდა
გამოვზარდოთ საკვებ კუბურებში ან ქოთნებში.
გადარგვიდან 8-10 დღეში უნდა ჩატარდეს გაცდე-
ნილი ადგილების გამორგვა, ამისათვის წინასწარ
გამოზრდილი უნდა გვქონდეს საერთო მცენარეთა

რაოდენობის 10 %. ჩითილი ნაკვეთში დარგვისთა-ნავე უნდა მოირწყას.

კომბოსტოს ჯიშისა და დარგვის წესის შესაბამისად, ერთ ჰექტარზე უნდა დაირგას 40-60 ათასი ძირი ჩითილი, კვების არით $70*30$ სმ, $60*30$ სმ-ზე. მიზანშეწონილია ზოლებრივი დარგვაც ($50 \times 50 \times 25$)+70 სმ-ზე.

დარგვის შემდეგ აუცილებელი ღონისძიებებია: სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის გაფხვიერება, მინის შემოყრა, რნევა, ბრძოლა მავნე-ბელ-დაავადებების წინააღმდეგ და მზისაგან დაცვა-დაჩრდილვა. ამ პროცესს თავების გათეთრება-საც უწოდებენ და მას უფრო ხარისხიანი, ბაზარზე

კონკურენტუნარიანი ბროდუქტის მისაღებად მიმართავენ. ამისათვის, კომბოსტოს თავის ინტენსიური ზრდის პერიოდში, ხდება მის გარშემო მდებარე 2-3 შიგნითა მსხვილი ფოთლის ჩაზნექვა-ჩატეხვა და მთლიანი თავის მოჩრდილვა. სრულყოფილი მოსავალი თესვიდან 85-130 დღის პერიოდში მიიღება. კომბოსტოს თავები ერთდროულად არ მნიშვნელოვანი არიან, მაგრამ მათ განვითარება და გავრცელება უნდა მოხდოს. სრულყოფილი მოსავალი თავების გადაზისაც უნდა მოხდოს. სრულყოფილი მოსავალი თავები ერთდროულად არ მნიშვნელოვანი არიან, მაგრამ მათ განვითარება და გავრცელება უნდა მოხდოს. სრულყოფილი მოსავალი თავების გადაზისაც უნდა მოხდოს.

დანართი 1

პოსტენული კულტურების თესვა-რგვისა და მოსავლის აღების ვალები
აღმოსავლეთ საქართველოს მეცნიერებების ზონაში. 1000-2200 მეტრი ზღვის დონიდან

№	კულტურა	I ქვეზონა – სამცხე-ჭავახეთი, სამხრეთ კავკასიონი, ჩრდ. საქართველო და მთის კალთები 1000-1500 მ.ზ.დ.			II ქვეზონა – 1500-2000 მეტრზე ზღვის დონიდან		
		თესვა	რგვა	მოსავლის აღება	თესვა	რგვა	მოსავლის აღება
1.	საადრეო კომბოსტო	1/III–10/III	1/V–25/V	30/VII–25/ VIII	25/III–10/IV	15/V–1/VI	15/VIII–1/IX
2.	საშუალო და გვიანი კომბოსტო	10/IV–5/V	1/VI–10/VI	1/IX–1/XI	10/V–20/V	15/VI–25/VI	15/IX–25/IX
3.	კალნაბი – საადრეო კვალსათბურში საჩი- თილედ (ყვავილოვანი კომბოსტო)	–	–	–	25/IV–5/V	1/VI–15/VI	1/X–10/XI
4.	პომიდორი საჩითი- ლედ კვალსათბურში	1/IV–20/IV	25/V–1/VI	1/VIII–15/IX	–	–	–
5.	ლობიო	1/V–20/V	–	1/VIII–20/IX	20/V–10/VI	–	10/VIII–20/IX

№	კულტურა	I ქვეზონა – სამცხე-შავანეთი, სამხრეთ კავკასიონი, ჩრდ. საქართველო და მთის კალთები 1000-1500 მ.წ.დ.			II ქვეზონა – 1500-2000 მეტრზე ზღვის დონიდან		
		თესვა	რგვა	მოსავლის აღება	თესვა	რგვა	მოსავლის აღება
6.	კიტრი	10/V–10/VI	–	15/VIII–1/IX	–	–	–
7.	ხახვი	1/IV–30/IV	–	15/VIII–20/IX	10/V–20/V	–	1/VIII–10/IX
8.	პრასი	15/IV–10/V	–	10/VI–25/IX	10/V–20/V	–	1/VIII–20/IX
9.	სუფრის ჭარხალი	15/IV–10/V	–	15/IX–1/X	20/IV–10/V	–	1/X–20/X
10	სტაფილი	10/IV–10/V	–	15/IX–1/X	20/IV–10/V	–	1/X–20/X
11	ოხრახუში, ნიახური	20/IV–10/V	–	15/VIII–15/IX	1/V–20/V	–	20/VIII–20/IX
12	ბარდა და ცერცვი	20/IV–10/V	–	1/VIII–1/IX	1/V–20/V	–	10/VIII–1/IX
13	ნიორი	1/IX–1/X	–	10/VIII–20/IX	1/V–10/V	–	1/VIII–15/VIII
14	ისპანახი, სალათა, ქინძი, წიწმატი	10/IV–15/V	–	15/V–10/VI	1/V–15/V	–	10/VI–1/VIII

დაცართი 2

პოსტერულ კულტურებში გამოყენებული მცენარეთა დაცვის საშუალებები

№	კულტურა	პრეცარატის დასახელება და წორება კგ/ჰა	მავნებელი და დაავალება	შეტანის ვადა	ჯერადობა
1.	კიფრი	აქტელიკი – 0,3-1,5 კგ	ფრთათეთრა, ბუგრები	ვეგეტ.პე- რიოდში	2
		ზატო-0,14	ნაცარი	ვეგეტ. პერიოდში	2-3
		რიდონეტი- 2-2,5 კგ	ჭრაქი, პერენოსპოროზი	-"-	2
		ანტრაკოლი – 0,8-1,0 კგ	ჭრაქი	-"-	3
		ბაილეტონი – 0,1-0,12 კგ	ნაცარი	0,01-0,02% ხსნარი	2
		ბორდოს ხსნარი – 6-8 კგ	ანთრაქნოზი	-"-	3
		კოლოდური გოგირდი – 2-4 კგ	ნაცარი, ანთრაქნოზი	-"-	4
		კუპროქსატი – 5,0 კგ	პერენოსპოროზი, ჭრაქი	-"-	2
		რიდომილი – 2,5 კგ	ჭრაქი	-"-	3
		სპილენძის ქლორუანგი – 2,4 კგ	ჭრაქი, ანთრაქნოზი, ბა- ქტერიოზი	-"-	3
		ტოპაზი – 0,12-0,15 კგ	ნაცარი	0,025% გესხ.	2

№	კულტურა	პრეპარატის დასახელება და ნორმა კგ/ჰა	მავნეპელი და დაავადება	შეტანის ვადა	ჯერადობა
2.	პომიდორი	აქტელიკი – 0,3-1,5 კგ	თრიფლები, ტკიპები	შესხ. ვე- გეტ. პერ.	1
		დეცისი – 0,25-0,4 კგ	ხვატარები	"-	1
		ზოლონი – 1,5-2,0 კგ	ბამბის ხვატარი	"-	2
		კარატე – 0,1 კგ	კოლორადოს ხოჭო	"-	2
		ანტრაკოლი – 0,8-1,0 კგ	ფიტოფეტოროზი	"-	3
		ბორდოს ხსნარი – 6-8 კგ	ჭრაქი, ფიტოფეტოროზი	"-	4
		ტატტუ – 3-3,3 კგ	"-	"-	3
		კუპროქსატი – 5,0 კგ	მურა კუთხოვანი ლაქი- ნიზა, ფიტოფეტოროზი, ჭრაქი	"-	2
		რიდომილი – 2,5 კგ	"-	"-	4
		ფუნდაზოლი – 5-6 კგ	ფუზარიოზული ჭკნობა	თესლის ნიმღობა 5-10 ლტ. თესლზე	1

№	კულტურა	პრეცარატის დასახელება და ნორმა კგ/ჰა	მავნეგელი და დაავადება	შეტანის ვადა	ჯერადობა
3.	სახვი	ბაზუდინი – 25 კგ	სახვის ბუზი	ნიადაგში შეტანა	1
		ანტრაკოლი 1,5-2 კგ	ჭრაქი	შესხ. ვეგ. პერ.	2-3
		არცერიდი – 2,5-3,3 კგ	-"-	-"-	3
		ბორდოს ხსნარი – 6-8 კგ	-"-	-"-	3
	სათესლები	ბრავო – 3-3,3 კგ	-"-	-"-	3
		დაკონილი – 2,0 კგ	-"-	-"-	3
		რიდომილი – 2,5 კგ	-"-	-"-	3
		სპილ. ქლორფუანგი – 2,4 კგ	-"-	-"-	3
		ტატუ – 2,5-3,0 კგ	-"-	-"-	1-2
		ბაზუდინი – 10-25 კგ	ზედაპირული შეტანა ბუზის მასობრივი კვერ- ცხდებისას კომ-ბოსტოს ბუზის საწინ.	მასობრივი კვერცხდე- ბისას	1
	კომპოსტი	კონფიდორ მაქსი 0,04-0,05 კგ/ჰა	თეთრულები, ხვატარები, ჩრჩილი, ბუგრები	-"-	2

№	კულტურა	პრეცარატის დასახელება და ნორმა კგ/ჰა	მავნეგელი და დაავადება	შეტანის ვადა	ჯერადობა
4.	კომპოსტო	ბაზუდინი – 10-25 კგ	ზედაპირული შეტანა ბუზის მასობრივი კვერ- ცხდებისას კომ-ბოსტოს ბუზის საწინ.	მასობრივი კვერცხდე- ბისას	1
		კონფიდორ მაქსი 0,04-0,05 კგ/ჰა	თეთრულები, ხვატარები, ჩრჩილი, ბუგრები	-"-	2
		დეცისი – 0,3 კგ	-"-	-"-	2
		-"- – 0,4-0,5 კგ	რწყილები	-"-	2
		კარატე – 0,1 კგ	ხვატარები, თეთრულები, ჩრჩილი, რწყილები	-"-	2
		შერპა – 0,16 კგ	-"-	-"-	2
		კოლოიდური გოგირდი – 50 კგ	შავფეხა	-"-	1
		მიკალი 3-4 კგ/ჰა	შავფეხა, ნაცარი	-"-	1
5.	სუფრის ჭარხსალი	ბაზუდინი – 40-50 კგ	მღრღნელები	ზედაპირუ- ლი შეტანა	1

№	კულტურა	პრეცარატის დასახელება და ნორმა კგ/ჰა	მავნეგალი და დაავადება	შეტანის ვადა	ჯერადობა
6.	სტაფილი	ტექტო – 0,05 კგ	ფომოზი, თეთრი და ნა- ცრისფერი სიდამ-პლე, შავი დამპლობა, ფუზა- რიოზი	სათესლეე- ბის შენახვა- მდე სადედე ძირხვე-ნე- ბის დამუშ- ავება 0,5% ხსნარით	1
7.	ყველა პოსტ- ნოლის თეს- ლის დაგუპ- ავება 4-6 გ 1 კგ თესლზე	კონილი – 0.04- გ/კგ თესლზე ტმტდ	თესლის ობი, ასკო- ეიტოზი, ფუზარიოზი, თეთრი და ნაცრის- ფერი სიდამპლე, ბაქტე- რიოზი, ანთრაქინოზი, ფიტოფტოროზი, ქეცი, ფომოზი	შენჯლრე- ვით მინის ქილაში ან პოლიე- თილენის პარკში შე- ნამვლით	1
8.	კვალსათ- გურები, სათგურები, ლია გრუნ- ტი, გაღვები, საყორებები, ქარსაფრები და სხვ.	თუთის ფოსფიდი – 20%-5% დალერლილი მარცვალი – 100 კგ მზესუმზირის ზეთი – 4,5-5,0 კგ ბაზუდინი 20-25 კგ/ჰა	თაგვების, მემინდვრიე- ბის, მახრების, ხვატა- რების საწინააღმდეგოდ ნიადაგიდ მავნებლების წინააღმდეგ	განახლება და მეორედ შეტანა 30 დღეში თესვა- რგვის ჩა- ტარებამდე	2 1

№	კულტურა	პრეცარატის დასახელება და წორმა კგ/ჰა	მავნეგაღი და დაავალება	შეტანის ვადა	ჯერადობა
ჰერბიციდები					
9.	ფოთალური მოქმედების ჰერბიციდები	გეზეგარდი – 3-5 კგ კლინი 2-4 კგ ლ ნოკდაუნი 2-3 ლ	ქინძი, ოხრახუში, კამა, ბარდა, სოიო, ნიორი, ლობიო, დათესვამდე ერთნებიანი და მრავალ- ნლიანი სარეველები	შესხურება კულტუ- რის აღმო- ცენებამდე 3-5 დღით ადრე	1
10.	ჭარხები, სტაცილო, კომპოსტი, სახვი	პოასტი – 1-3 კგ	მრავალნლიანი მარცვ- ლოვანი სარეველები	ნათესების შესხურება სარეველე- ბის 10-15 ფოთლის ფაზაში	1
	-"-	ნაბუ – 1-3 კგ	მარცვლოვანი სარევე- ლები	შესხურება სარევე- ლების 2-6 ფოთლის ფაზაში	1

№	კულტურა	პრეპარატის დასახელება და ნორმა კგ/ჰა	მავნეპელი და დაავადება	შეტანის ვადა	ჯერადობა
11.	-"-	ტარგა სუპერი – 1-2 კგ	ერთწლიანი მარცვ- ლოვანი სარეველები	ნათესების შესხურება სარე-ვე- ლების 2-4 ფოთლის ფაზაში	1
	პომიდორი	ზენკორი 1-1,2	-"-	-"-	2
	-"-	ფუზილად სუპერი – 2-4 კგ	-"-	-"-	1
12.	მიღვისი, საჭაც დაირ- გვება პოსტ- ეცვლი	რაუნდაპი – 4-5 კგ	შალაფა, ძურწა ჭანგა, ლელი და ყველა სხვა ერთ- წლიანი ბალაზები	სარეველის 12-14 სმ სიმაღლის ფაზაში	1
		კლინი – 3-4 კგ			
		ნოკდაუნი-3-5 კგ			
		ნიტოსორგი – 3-4 კგ			
		ან სხვა მსგავსი პრეპარატი			

**სასოფლო-საგურეო საქმიანობის შესახებ კონსულტაციის მისამართი
მიმართვით სასოფლო-საკონსულტაციო სამსახურს შემდეგ მისამართებზე:**

ახალციხე

გვარამაძის ქ. №6
ტელ: 822 506365; 822 506366

დაბა აღმაღესი

მესხეთის ქ. №19 (II სართული)
ტელ: 899 980052

დაბა ასპინძა

თამარის ქ. №3 (I სართული)
ტელ: 899 729099



წიგნი გამოიცა სასოფლო-საკომსულტაციო სამსახურის მექ “საარსებო საშუალებების მდგრადი განვითარებისა და რეგიონალური დაგეგმარების” პროექტის ფარგლებში. პროექტს ახორციელებს “ქა საერთაშორისო კავეასიაში” დიდი პრიტანეონის საერთაშორისო განვითარების დეპარტმენტის დაფინანსებით.

